დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
წევრები:

ნინო ფაილოძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი),

მარინა ჯალიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი),

ეკატერინე გავაშელიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი),

ნინო წერეთელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი),

თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი),

მარინე ჩახვაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი),

ელისო ვადაქარია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი),

ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი),

მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი),

მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურუდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**212708202**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქუთაისი
იურიდიული მისამართი	ქუთაისი, რუსთაველის №127, ჯავახიშვილის №21, ნიკეას №19
ფაქტობრივი მისამართი	ქუთაისი, რუსთაველის №127, ჯავახიშვილის №21
საფოსტო ინდექსი	**4600**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://skolebi.emis.ge/schools/711**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kutaisi41@mes.gov.ge ; https://razmadze41.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0431272644

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 9 23 0000868106; 12.07.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17, 18 აგვისტო 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	ქუთაისი, ჯავახიშვილის 21, რუსთაველის №127

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	ქუთაისი, რუსთაველის №127
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული	ქუთაისი, რუსთაველის №127

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისი ფიზიკა-მათემატიკურ საჯარო სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით .

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს- სკოლის დირექტორს,სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს,სკოლის ბიბლიოთეკარს, და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1950	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

სრულ შესაბამისად შეფასდა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

- **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**
- **ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**
- **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

სტანდარტი 3	სასწავლო პროცეს ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცეს ადმინისტრაციული	

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
3.4.1.1 სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;		*დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (01.11. 2023მდე). კერძოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან,შენობის მდგრადობის/ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება,შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმების დასაქმება.*
3.5.1.3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;		*დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (20.09.2024მდე).კერძოდ, მოაწყოს პანდუსები სკოლის შენობაში.*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერ	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმ დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცეს ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
3.1.2.6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.		*სკოლამ უზრუნველყოს ,,ალუმნაის" პროგრამის, კრიტერიუმები ბენეფიციარების შესახებ დეტალური გაწერა და მარეგულიერებე დოკუმენტებში ასახვა და გაზიარება, რითაც გაიზრდე ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა .*
***3.4.1.1** სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველად დახმარების აღმოჩენას;*		*სკოლამ უზრუნველყოს სამედიცინო კაბინეტის ისე აღჭურვა, რომ დაცული იყოს პაციენტის პრივატულობა* *დაწესებულებამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხეობის სპეციალისტი დასაქმება*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერ	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმ დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმები, იმ ინდიკატორებთან მიმართებით რაც დახარვეზდა. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია , რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები,ვადები და რესურსები რელევანტურია და იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა (შემდგომში ,,დაწესებულება'', ,,სკოლა'') ახორციელებს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას და რომლის მისიაა: აღმოაჩინოს თითოეულ მოსწავლეში განსაკუთრებული უნარები, გააღვივოს მათში შემოქმედებითი აზროვნება და აღზარდოს ქვეყნის წარმატებისთვის მებრძოლი ლიდერი.

სკოლის ხედვა: თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი, თანაბარი და უწყვეტი განათლებით, ციფრული ტექნოლოგიების ინტენსიური და სიღრმისეული ათვისებით, წარსული გამოცდილების გათვალისწინებით 7 წლის პერსპექტივაში STEM მიმართულებით რეგიონულ ჰაბად ჩამოყალიბების მუდმივი მზაობა. სკოლის მისია და ხედვა დეკლარირებულია სსგ ში, სტრატეგიული განვითარების გეგმაში და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში.

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; დაწესებულების მისიასა და ხედვაში ასახულია სკოლის პრიორიტეტული მიმართულებები, გამოკვეთილია სკოლის სამომავლო პერსპექტივა, ჩანს, რომ სკოლას აქვს სურვილი ჩამოყალიბდეს, როგორც სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათებლო კერა. სკოლის მისია და ხედვა პასუხობს სტანდარტის ინდიკატორს, შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სამუშაო ჯგუფის ფორმირებით, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ დირექციის და საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები. მოხდა არსებული მისიის გადახედვა, რომელიც უცვლელი დარჩა, ხოლო ხედვამ განიცადა რევიზია. დაწესებულების ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სტრატეგიული დაგეგმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე, რომელიც საბოლოოდ შემდეგნაირად ჩამოყალიბდა :

ღირებულებები: თავისი საქმიანობის ფარგლებში სკოლა მოქმედებს განათლების სფეროში აღიარებული ისეთ ღირებულებებით, როგორიცაა:

- პროფესიონალიზმი
- თანამშრომლობა
- ტოლერანტობა
- ბავშვთა უფლებების დაცვა
- ინვაციურობა და კრიტიკული აზროვნება
- ღიაობა
- უსაფრთხოება

აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;** დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში ასახულია შემდეგი მოლოდინები, კერძოდ გაცხადებული მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა თითოეულმა თანამშრომელმა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებით:

- უპირველესია ბავშვის სიყვარული;
- მნიშვნელოვანია პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება;
- მნიშვნელოვანია პატიოსნება და კეთილსინდისიერება;
- მნიშვნელოვანია სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა;
- მნიშვნელოვანია მიუკერძოებლობა;
- ვაცნობიერებთ საკუთარ პასუხისმგებლობას;
- გვესმის, რომ ვაკეთებთ საერთო საქმეს;
- ვნერგავთ ინოვაციურ მიდგომებს და ვითვალისწინებთ წარსულ გამოცდილებას;
- ვზრუნავთ სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხზე;
- მნიშვნელოვანია, მუდმივი პროფესიული ზრდა და განვითარება;
- ვმუშაობთ გუნდურად და ვიცავთ კოლეგიალობას;
- ვართ პროცესებზე ორიენტირებული და ვითვალისწინებთ გაწეულ ხარჯსა და მიღებულ სარგებელს.

სკოლამ უზრუნველყო მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სხვადასხვა შეხვედრებზე გაცნობა, როგორიცაა კათედრის სხდომები, მოსწავლეთა თვითმართველობის შეხვედრები, მშობლებთან შეხვედრები. აღნიშნული დასტურდება სხდომის ოქმებით და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია როგორც სასკოლო სივრცეში საინფორმაციო დაფაზე, ისე ონლაინ სივრცეში სკოლის ვებ-გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 16 სექტემბრის N 117/ნ ბრძანებით ცვლილება შევიდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებულ დანართ-2 ში რომლის მიხედვით,სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია ,,სსიპ ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა''და მინიჭებული აქვს ფიზიკა -მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სტატუსი. სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა;
სტრატეგიული განვითარების გეგმა;
დაწესებულების ვებ-გვერდი;
ინტერვიუს შედეგები.
სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის ბრძანება N 2-117; 08.05.2023;
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 117/ნ; 16.09.2016.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; დაწესებულებამ წარმოადგინასკოლის დირექტორის მ/შ მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება (N 2-118;10.05.2023), რომლის დანართის სახით წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა სკოლის სტრატეგიული გეგმის დაგეგმარების პროცესი ემყარება გუნდურობის, თანამონაწილეობის, განჭვირვალობის, სამართლიანობის პრინციპებს და სტრატეგიული გეგმის შემუშავების ინიცირების ფაზაზე სკოლის სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მომუშავე ჯგუფი პასუხისმგებელია სასკოლო საზოგადოების პროცესის ჩართვაზე, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას, ისე მათი პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; დაწესებულების მიერ წარმოდგენილია **სკოლის სამეურვეო საბჭოს** მიერ (სხდომის ოქმი N 13 ; 11.07.2023) დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არიც ციკლური, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, მოიცავს სკოლის ფილოსოფიასთან თავსებად მიზნებს და ამოცანებს, კერძოდ: 1. სკოლის ინსტიტუციური მდგრადობა და მუშაობის ეფექტურობა უზრუნველყოფილია არსებული რესურსებით, ორგანიზაციული მოწყობითა და მიმდინარე პროცესებით;

სტრატეგიული მიზანი № 2: სკოლა აქტიურად იყენებს საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას;

სტრატეგიული მიზანი №3: სკოლის მიერ გაწეული სერვისები განვითარებული, მოქნილი, ადვილად ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე ორიენტირებულია;

სტრატეგიული მიზანი № 4: დანერგილია ზოგადი განათლების სპეციფიკაზე მორგებული ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს საუკეთესო უცხოურ პრაქტიკას და საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობის თანამედროვე გამოწვევებს;

სტრატეგიული მიზანი №5: STEM მიმართულებით სკოლის რეგიონულ ჰაბად ჩამოყალიბება თითოეული მოსწავლისთვის ხარისხიანი, თანაბარი და უწყვეტი განათლებით, ციფრული ტექნოლოგიების ინტენსიური და სიღრმისეული ათვისების გზით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ,,სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგის'' მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი. შესაბამისად, წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა არ არის უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შეფასდა როგორც ,,არ არის შესაბამისობაში''**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში გადმოაგზავნა მტკიცებულების სახით სტრატეგიული განვითარებისა გეგმა ,წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ გეგმა უფლებამოსილი პირის მიერ არის დამტკიცებული.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოზე (სხდომის ოქმი N 13 ; 11.07.2023), სკოლის ,,სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგის'' მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სკოლის სამოქმედო გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი, შესაბამისად, დოკუმენტი არაუფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ არის დამტკიცებული. **დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში გადმოაგზავნა მტკიცებულების სახით სამოქმედო გეგმა ,წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ გეგმა ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას,აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სკოლის მიერ წარმოდგენილი გეგმა არ არის უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შესაბამისად, არ არის ქმედითი, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შეფასდა როგორც ,,არ შეესაბამება''.დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში გადმოაგზავნა მტკიცებულების სახით სამოქმედო გეგმა ,წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 13 11.07.2023;

სკოლის დირექტორის მ/შ მიერ დამტკიცებული ბრძანება N 2-280; 28.06.2023; სკოლის შიდა ხარისხის მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცების შესახებ.

სკოლის დირექტორის მ/შ მიერ დამტკიცებული ბრძნება N 2-118;10.05.2023;სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.
სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030);
სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილი მტკიცებულებები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ,,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია'' მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ მე-7 მუხლის მე5 ქვეპუნქტის მიხედვით:მონიტორინგი და შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ , ხოლო სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხდება წელიწადში ორჯერ . მას იხილავს მონიტორინგის და შეფასების ქვეჯგუფი, რის შემდეგაც მის მიგნებების/დასკვნების გათვალისწინება ხდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შედგენის პროცესში.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;** ამ ეტაპზე ინდიკატორი ვერ შეფასდება, ვინდაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;** დაწესებულების მიერ წარმოდგენილის სტრატეგიული განვითარების გეგმის მე-3 თავში აღწერილია პროცესი, რომლის მიხედვით წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესრულების, ანგარიშები ქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე სკოლის სტრატეგიისა და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესში განსაზღვრული ვადების შესაბამისად, თუმცა ამ უკანასკნელში ვადები არ არის დადგენილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის დირექცია და სკოლის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფი წარმოადგენს პროექტს, სადაც დეტალურად გაიწერება სკოლის სამომავლო ამოცანები, რომლებიც ძირითად გამოწვევებზე იქნება დაყრდნობილი.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის მ/შ მიერ დამტკიცებული ბრძნება N 2-118;10.05.2023;სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.
სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030);
სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურის ორგანოგრამა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი (ბრძ. N 2-280; 28.06.2023), რომლის მიხედვით განსაზღვრულია სსიპ - ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის N41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების ჩამონათვალი.ამავე წესის მიხედვით,სკოლა ვალდებულია გააცნოს „თანამდებობრივი ინსტრუქციები“ თავის დასაქმებულს. დაწესებულებაში დამტკიცებულია საშტატო განრიგი, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია დირექტორი, 3 დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტენიკური უზრუნვლეყოფის კოორდინატორი,საქმისმწარმოებელი.საინფორმაციო მენეჯერი-2, ბიბლიოთეკარი, ადმინისტრატორი, ექიმი-2, დარაჯი-7, დამლაგებელი-8, ცეცხლფარეში1, მუშა-2. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვიმმართველობა,დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაცისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანაშმრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები რომელიც განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტში განსაღვრავს თითეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრუქტურის ორგანოგრამა ;

სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი (ბრძ. N 2-280; 28.06.2023);

საშტატო განრიგით;

შრომითი ხელშეკრულებებით.

სამეურვეო საბჭოს არჩევის დოკუმენტები,

მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის ოქმები;

დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლაში დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც ადგენს შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს : სამუშაო კვირის ხანგრძლივობას და დროს, სამუშაოზე დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, შვებულებით სარგებლობის შესახებ რეგულაციებს და ა.შ. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმაა. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგლაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზე პერსონალი შეირჩვა გამჭვირვალედ. სკოლა პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვის მიზნით ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რისკების მართვას და ფუნქციების სხვაზე დელეგირებას, მაგალითის სახით სკოლამ მოიყვანა მასწვლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; დაწესებულებაში სკოლის მასწავლებელთა შერჩევა და დასაქმება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით, სკოლაში მასწავლებლის დასაქმება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად მიმდინარეობს, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მასწავლებელთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმნეტაცია, რომლიც შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან. სკოლაში დასაქმებული არის 2 მოწვეული მასწავლებელი , რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში არ არის დაცული ყველა თანამშრომელის ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, რომელიც კანონმდებლობითაა დადგენილი.**ინდიკატორი შეფასდა როგორც ,,არ არის დაკმაყოფილებული.''**

სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილია თანამშრომლების , ცნობები რომელიც კანონმდებლობითაა მოთხოვნილი, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაიცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს. დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში კონკურსის გზით დასაქმებული იყო ორი ექიმი , რომელთა კვალიფიკაცია (ორივე) არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრულ ექიმის საკვალიფიკაციო პირობებს,რომლის მიხედვით ,,სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში:

ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. ‘’ სკოლამ ვიზიტის პერიოდში შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა ექიმებთან და გამოაცხადა ვაკანსიები ექიმების პოზიციაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის ადმინისტრაცია ერთობლივად , გუნდურად ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, სკოლის სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და სხვ. საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპს,დამოუკიდებლად მოქმედებენ იღებენ გადაწყვეტილებებს,მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა მიზნად ისახავს „ჩვენ“ განცდისა და ერთგულების ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში და ინიციატივების განვითარებას გუნდში. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. დაწესებულების ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა, კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებს ,,ალუმნაის’’ პროგრამა, სკოლის ყოფილი მოსწავლეები თუ სხვა მეცენატები აწესებენ სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრიზებს, როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პედაგოგებისთვის, რომლის ფარგლებში დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით ხდება თანამშრომლების წახალისება. ასევე, სკოლის პრაქტიკაში ხშირია ისეთი აქტივობები, როგორიცაა საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობა და საპრიზო ადგილების დაკავება, რა დროსაც ხდება პედაგოგების წახალისება. სკოლას შინაგანაწესით დადგენილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესით;
- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებით;
- საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმით;
- თანამშრომლეთა პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- Eeschool ბაზის მონაცემებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;** სკოლა საკუთარ პერსონალს აფასებს სხვადასხვა მიმართულებით.სკოლაში დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის'' (ბრძ. 2-280; 28.06.2023)დოკუმენტის მე-6 მუხლის მიხედვით: სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;** სკოლაში უწყვეტად ხორციელდება პერსონალის პროფესიული ზრდა. ეს ხდება როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების საშუალებით გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად. სკოლაში შემუშავებულია შიდა მექანიზმი, გაკვეთილების შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები მათი საჭიროების მიხედვით ესწრებიან ტრენინგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;** სკოლა მასწავლებლებს საშუალებას აძლევს და ახალისებს, ჩაატარონ სამუშაო შეხვედრები, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. ყოველ წელს კიდევ უფრო მეტი მასწავლებელი იმაღლებს სტატუსს და ასევე კიდევ უფრო მეტი მასწავლებელი აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის, **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;** სკოლა ხელს უწყობს თანაშრომლების ინტეგრაციას სასწავლო გარემოსთან. ახალი თანამშროლების ინტეგრაციის მიზნით მათ აცნობენ შიდა სასკოლო რეგულაციებს, აცნობენ თანამშრომლებს, წარდგენისას ხაზს უსვამენ მათს ძლიერ მხარეებს, აწევრიანებენ პროფესიულ და შიდა სოციალურ ჯგუფებში. ისინი მონაწილეობას იღებენ სტრუქტურული ერთეულების მუშაობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.** დაწესებულების წარმომადგენლებთა და მასეავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით კათეედრების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით. ვინაიდან სკოლა პირველად ავორიზაციას გადის **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
სკოლის შინაგანაწესი;
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი;
ინტერვიუს შედეებით,

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად; სკოლას შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება სწავლა-სწავლება, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვა, ადგენს ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტით უზრუნველყოფილია ხარისხის მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ხარისხის უზრუნველსაყოფად იყენებს სხვადასხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის მიწოდებას მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის.სკოლა უზრუნველყოფილია ლაბორატორიებით, სახელმძღვანელოებითა და კომპიუტერული ტექნიკით. ამრიგად, სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება ხარიხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. კერძოდ: 1. კათედრების მიერ ხორციელდება სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესება. 2. მასწავლებლის სახლის დახმარებით ხორციელდება ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ; 3. სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესება. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეთა თვითმმართველობა. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში, ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმნეტში, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში და სკოლის წესდებაში სადაც აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია ნაწილობრივ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და სკოლის შინაგანაწესში. სკოლის წესდებაში,სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. მაგალითად, დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესის თავში „მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი“. დამხმარე პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში. ხელშეკრულებები აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; სკოლაში არსებობს თანამშრომლების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის სისტემა. იგი გაწერილია შინაგანაწესში ვადებითა და პროცედურებითურთ. როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლესა თუ მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის გადაწყვეტილებები. აღნიშნულის შესახებ მათ მიეწოდებათ ინფორმაცია შინაგანაწესის განხილვის დროს. შინაგანაწესი ასევე გამოკრულია საჯაროდ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშკრულების პირობების გაცნობით, შინაგანაწესის გაცნობით კლასის დამრიგებლის მიერ ჩანიშნულ კრებაზე. პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და პასუხისმგებლობის სახეები.გარდა ამისა, სკოლის დირექტორის მიერ დამტკიებულია ,,გასაჩივრების დეტალური ინსტრუქციების'' დოკუმენტი (ბრძ. N 2-280; 28.06.2023**),** რომლითაც განსაზღვრულია პროცედურები და ინსტრუქციები საჩივრის წარდგენის მომენტიდან და მისი განხილვის დასრულების მომენტამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;
გასაჩივრების დეტალური ისნტრქუციების დოკუმენტი;
შრომითი ხელშეკრულებები;
სკოლის წესდება;
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები; დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი''(ბრძ. N 2-280), რომლის მე-3 მუხლის მიხედვით:1. სკოლა ვალდებულია:

1.1. საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს საჯარო დოკუმენტები (განათავსოს საინფორმაციო დაფაზე, ატვირთოს სკოლის ვებ გვერდზე, სხვა).

1.2. საზოგადოების დაინტერესებული წევრები ჩართოს სკოლის სტრატეგიული განვითარების, სამოქმედო, სასკოლო გეგმების შემუშავებაში.

1.3. მიაწოდოს საჯარო ინფორმაცია, კანონის სრული დაცვით, საზოგადოების დაინტერესებულ წევრს მისთვის ხელსაყრელი ფორმით (ელექტრონული ვერსია/ამობეჭდილი).

1.4. უზრუნველყოს საინფორმაციო და სხვა ტიპის შეხვედრები (კანონის სრული დაცვით) საზოგადოების დაინტერესებულ წევრებთან, იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს.;და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი'' უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობის შესაძლებლობას,. გარდა ამისა,სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. დისციპლინური კომიტეტიც, მოსწავლეებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- კოლეგიალური ორგანოების სხდომის ოქმები(თვითმმართველობა, პედ. საბჭო);
- მშობელთა კრების ოქმები;
  ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი''

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლის ორივე მისამართზე არსებული ტერიტორია შემოღობილია, მოწესრიგებულია სკოლის ეზო. დაწესებულების დირექტორის განმარტებით სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ იგეგმება სკოლის შენობების რეაბილიტაციის პროცესი, ამ ეტაპზე მიმდინარეობს საკონსულტაციო შეხვედრები. სკოლის ტერიტორიის ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნავს შვიდი დარაჯი, ამასთან სკოლაში სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატურები არიან დასაქმებული.

ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა N 005857923 (18.08.2023) სკოლის ორივე მისამართზე არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის-მდგრადობის დამაკმაყოფილებელი შეფასების შესახებ.

<u>დაწესებულებაში ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული მოთხოვნების შესაბამისი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას დაწყებული აქვს შესაბამის უწყებასთან კომუნიკაცია.</u>

<u>დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში გაგზავნილი იყო კორესპონდენცია ფინანსური სახსრების გამოყოფაზე შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნის მოსამზადებლად. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დოკუმენტები.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ვიზიტის დროს დასაქმებული იყო 2 ექიმი , რომელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრულ პირობებს, სკოლამ ვიზიტის პერიოდში შეწყვიტა მათთან შრომითი ხელშეკრულებები და უზრუნველყო ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის გამოცხადება.

სკოლაში სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა არ შეესაბამებოდა დადგენილ კანონმდებლობას, კერძოდ არ იყო შირმა,სკოლას მიეცა რჩევა პაციენტის პრივატულობის დაცვის მიზნით აღჭურვოს კაბინეტი შირმით. **ინდიკატორი შეფასდა როგორც,, არ შეესაბამება''.**

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით სკოლა 01.11.2023 წლამდე უზრუნველყოფს ინდიკატორით მოთხოვნილი პიროებების დაკმაყოფილებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება, საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ,,საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი'', რომლის მიზანია: ა) ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება; ბ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება; გ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესრიგის დარღვევაზე ეფექტური რეაგირება; დ) ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა; ე) მანდატურის, მანდატურის სამსახურისა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების ხელშეწყობა. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ,,საზოგადოებრივი დაცვის წესის'' დოკუმენტი, რომლის მიხედვით: ფსიქოლოგიური დახმარების მიღება

1. მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოლოგიური დახმარების მიღება შეუძლიათ: ა) მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან სატელეფონო კონსულტაციით;

ბ) მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან კონსულტაციით მობილური სატელეფონო აპლიკაციის საშუალებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ონლაინ კონსულტაცია და სატელეფონო აპლიკაცია უნდა იძლეოდეს მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების ანონიმურობის დაცვის შესაძლებლობას.

3. ფსიქოლოგიური დახმარების ფარგლებში მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგი მოსწავლეს, კანონიერ წარმომადგენელს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელსა და მასწავლებელს უწევს კონსულტაციას პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებთან დაკავშირებით, ამასთან იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია პრობლემის გადაჭრის მიზნით ფსიქოლოგიური მომსახურების მიღება, უწევს კონსულტაციას ფსიქოლოგიური მომსახურების მიღების გზებთან დაკავშირებით და უხსნის აღნიშნული სერვისის მნიშვნელობას. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;** სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი -,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი'', რომლის მიხედვით გაწერილია: სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები,რომელიც ვრცელდება სკოლაში არსებულ ყველა სივრცეზე, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეებზე. ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სისუფთავე, როგორც კლასებში, ისე სველ წერტილებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი ,, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი'', რომელიც განსაზღვრავს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს რათა უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მ/შ მიერ დამტკიცებული დოკუმემტი ,,ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი'' (ბრძ, N 2-280), რომლის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული ინფორმაციის დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით და ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლის მიერ წარმოდგნილი ,,ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი''ითვალისწინებს საკითხებს, რომლის მოხედვით სკოლა შეძლებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი''
- ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი'',
- ,,საზოგადოებრივი დაცვის წესის დაცვის დოკუმენტი''
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ექიმებთან დადებული ხელშეკრულება და პირადი საქმე;
    - დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულებით;
    - დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

   დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვით, **დაწესებულების მისამართებია: ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. N 21; რუსთაველის ქ. N 127 და ნიკეას ქ. N 19**

   უძრავი ქონების საკადასტრო კოდია: ჯავახიშვილის ქ. – N 03**.04.21.183; რუსთაველის ქ - N 03.04.22.329; ნიკეას ქ, N 19 N 03.05.22.653,**

   შენობა-ნაგებობის საერთო ფართია: ჯავახიშვილის ქ. N 21 - საერთო ფართი: 2065.00 კვ. მ მოიცავს ორ შენობა ნაგებობას 1- ლი-ძირითადი კორპუსი 1622.12კვ. მ; და მე-2 (საქვაბე)- 20.6 კვ. მ;

   რუსთაველის ქ. N 127 - საერთო ფართია: 4726.00 კვ. მ მოიცავს სამ შენობა ნაგებობას: 1-ლი : ძირითადი კორპუსი : - 3125.50 კვ.მ ; მე-2 -დამხმარე ნაგებობა - 55, 68 კვ.მ და მე-3 10.50 კვ. მ .

სკოლის სარგებლობაშია ნიკეას ქ. N 19 არსებული 37 622 კვ. მ ფართობის არასასოფლო სამეურნეო ტიპის ნაკვეთი.

სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან არსებობის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;** მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(დერეფანი, ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის(დარბაზი,ლაბორატორიები და სხვ,).შესაბამისად, ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;** სკოლის ინფრასტურქტურა (ორივე კორპუსი) არ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ სკოლაში გადაადგილება სართულებს შორის არ არის შესაძლებელი შშმ პირთათვის და არ არის ადაპტირებული სველი წერტილი. აღსანიშნავია, რომ სკოლას არ ყავს სსმ მოსწავლე და არც რესურს ოთახი, სკოლის განმარტებით უკანასკნელი წლების პრაქტიკის გათვალისწინებით გამომდინარე სკოლის პროფილიდან არ ჩარიცხულა სსსმ მოსწავლე. აღნიშნულის გათვალისწიებით **ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.**

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვით სკოლა 20.09.2024 წლამდე უზრუნველყოფს ინდიკატორით მოთხოვნილი პირობების დაკმაყოფილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც ,,მეტწილად შესაბამისი''.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;** იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. აქვს ეზო, რომელიც გამწვანებულია. ეზოში და სკოლის შენობის შიგნით არის რეკრეაციული სივრცეები, რომელსაც სკოლის დირექტორის ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იგეგმება მათი კეთილმოწყობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები ;** სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები, კერძოდ: საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, რობოტექნიკის სასწავლო რესურსები, ფიზიკის ლაბორატორიები, ელექტრონიკის წრის ფუნქციონირებისთვის საჭირო ხელსაწყოები და სხვ. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია მრავლფეროვანი სასწავლო რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საჯარო რესტრის ამონაწერით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დიკუმენტაციით (მიღება-ჩაბარების აქტი);
- შენობის აზომვითი ნახაზით;
- ინვენტარიზაციის შედეგებით;

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

   სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები.სკოლაში 29 კომპიუტერი არის კომპიუტერულ ლაბორატორიაში; 16 კომპიუტერი -მომავლის კლასში,. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით,აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაიული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის განრიგი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, რიტაც უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერებით.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაციით.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; დაწესებულებამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი (ბრძ. N 2-280; 28.06.2023). აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow - ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი და საინფორმაციო მენეჯერები. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchoolს სისტემის მეშვეობით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება eflow სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;** სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას ოფიციალური ვებ-გვერდის https://skolebi.emis.ge/schools/711 და სხვა საკომუნიკაციო არხების https://www.facebook.com/Pizmati41 საშუალებით.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;** სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით, ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომლის მიხედვით კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;** სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი- https://skolebi.emis.ge/schools/711 , რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. დაწესებულების ვებ-გვერდი მოიცავს ინდიკატორით გათვალისწინებულ არასრულ ინფორმაციას, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შეფასდა როგორც ,, არ არის დაკმაყოფილებული''.**

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში წარმოადგინა სკოლის ვებგვერდის მისამართი https://razmadze41.edu.ge/ , სადაც განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებით;
სკოლის სოციალური ქსელის გვერდის დათვალიერებით;
საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესით.
არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილი მტკიცებულებით.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;** სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი.

სკოლას დამატებითი დაფინანსების წყაროა კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ფინანსური სახსრები, რომელიც ასახულია სკოლის ბიუჯეტში და რომელიც მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს ოქმების მიხედვით,სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიოტრინგის შედეგებს;

სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი შემუშავება სკოლის დირექტორის განმარტებით გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობს.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტით;**
- **ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **დაფინანსების ანალიზის შედეგებით;**
- **სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგებით.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; მოსწავლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობას და შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები, პასუხისმგებლობები.სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესს და პირობებს, რომელიც თავის მხრივ ავსებს შინაგანაწესს და უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი , რომლიც განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების გადაცდომის საკითხებს, ასევე ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო,რომელთა საქმიანობა მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას; გარდა ამისა, სკოლაში დამტკიცებულია (ბრძ. N 2-280) მოსწავლის უფლებების დაცვის მექანიზმი, რაც ტავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებასთან; აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

დაწესებულების დირექტორის მ/შ მიერ დამტკიცებულია ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი ’’ (ბრძ. 2-280), რომლიც თავის მხრივ ითვალისწინებს სკოლის გაძლიერებული საგნების სწავლების და კლასიდან კლასში გადაყვანის პირობებს, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; მოსწავლეთა პირადი საქმეების და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლა ახორციელებს ფასიან მომსახურებას სხვადასხვა წრის სახით. სკოლის განმარტებით, მომსახურების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება მშობელთა კრებებზე, სკოლის საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ- გვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლაში დასაქმებულ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სკოლაში ვიზიტისას ან მშობლის დამრიგებელთან კომუნიკაციის საშუალებით. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას, აქტივობებს და ემსახურება ინფორმირებულობას. ინფორმირების ძირითადად წყაროდ დამრიგებელი სახელდება ან საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე მიმართავენ დირექტორს/ადმინისტრაციის წარმომადგენელს.

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ქონდა გაზიარებული და გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, ვინაიდან დაწესებულება პირველად ავტორიზაციას გადის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შინაგანაწესი;
- საინფორმაციო სისტემის Eschool-ის ბაზა;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის/სტატუსის შეჩერების ბრძანებები;
- მოსწავლეთა პირადი საქმეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის ''დოკუმნეტით.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;** დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მ/ მიერ დამტკიცებული ,,მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის'' დოკუმენტი (ბრძ. N 2-280), რომელშიც გაწერილია მოსწავლის, როგორც პირველ კლასში მიღების , ისე მობილობის პროცესში სკოლის მხრიდან განსახორციელებელი აქტივობები და პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;** დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მ/ მიერ დამტკიცებული ,,მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის'' დოკუმენტი (ბრძ. N 2-280), რომელშიც დეტალურად არის აღწერილი თუ როგორ გეგმავს სკოლა მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; დოკუმნეტით დგინდება , რომ მექანიზმის დაცვის კონტროლი ევალება სკოლის დირექტორის მოადგილეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;** სკოლაში შექმნილია სხვადასხვა კლუბები და წრეები, რომლის დახმარებით შესაძლებელი იქნება მოსწავლემ მიიღოს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;** დაწესებულების წარმომადგენლის და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს. სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში , ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში გააცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას , სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, აქტივობები, როგორც საკლასო, ასევე სასკოლო , რესპუბლიკურ და საერთაშორისო დონეზე.სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბები და წრეები , რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა მხარდაჭერას.აღნიშნულ წრეებს ხელმძღვანელობენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. სკოლაში განსაკუთრებულად პრიორიტეტულია არაფორმალური განათლება, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. სკოლამ განმარტა , რომ მომავალში იგეგმება სხვადასხვა ტიპის თვითშეფასების კითხვარების შემუშავება, რომელიც თავის მხრივ დაემხარება მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი მიიღოს, რითაც კიდევ უფრო გაუმჯობესდება მოსწავლეთა მომსახურება. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

,,მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის''
სკოლის სოციალური ქსელის დათვალიერებით;
სადამრიგებლო საქმიანობით;
სასკოლო სასწავლო გეგმით.
არაფორმალური აქტივოების ამსახველი დოკუმენტაციით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის; მოსწავლეები ღია კარის დღეს სტუმრობენ უმაღლეს სასწავლებლებს, ეცნობიან მათთვის საინტერესო საგანმანათლებლო პროგრამებს. სკოლა იწვევს სხვადასხვა სასწავლებლის წარმომადგენლებს, რათა მათ ინფორმაცია მიაწოდონ მოსწავლეებს და დაეხმარონ პროფესიული არჩევანის გაკეთებაში.სკოლა სამომავლოდ გეგმავს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა გაზარდოს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; აცნობს ინფორმაციას ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ინიცირებულ სიახლეებზე, კერძოდ, ღია კარის დღეს, საგამოცდო ფორმატის ცვლილებების, ახალ პროგრამების, ასევე, სრულ ინფორმაციას პროფესიულ სასწავლებლებზე. სხვადასხვა ორგანიზაციასთან იმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. სკოლა თანამშრომლობს აკაკი წერეთლის სახელობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო უნივერსიტეტთანაც, რომლის ფარგლებში სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან იმართება შეხვედრები უნივერსიტეტის პროგრამებთან დაკავშირებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლა გეგმავს პლატფორმა Fforms - ში ჩაატაროს გამოკითხვა, საიდანაც მიიღებს ინფორმაციას მათ მიერ გაწეული მომსახურეობის ხარვეზებზე, რათა შემდგომ დაგეგმავს აქტივობებს მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.
ინტერვიუს შედეგებით სკოლის წარმომადგენლებთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი; დაწესებულებას შემუშავებული აქვს და დამტკიცებულია ,,სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის ''დოკუმენტი (ბრძN 2-280),რომელიც არეგულირებს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას:სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტატუსის მოპოვების რეგულაციას,ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაცია/მონიტორინგს და სხვ, ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში სკოლაშ არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე, სკოლის განმარტებით ასეთი პრაქტიკა უკანასკნელი წლების მანძილზე სკოლას არ ქონია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლაში არ ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები, ამასთან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი შესაძლებელია შეფასდეს როგორც **შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

,,სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის ‘’დოკუმენტი;

ინტერვიუს შედეგები.

4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. *აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის ფასიან მომსახურებას **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია პირობები, ხოლო პედაგოგთან შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. ყველა სახის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობა დადგინდება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების საფუძველზე, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუს შედეგებით.
- მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულებით;
- წრის მომსახურების მშობელთან დადებული ხელშეკრულებით;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პედაგოგებთან ინტერვიუს შემდეგ ცხადი გახდა, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს მთელი სასკოლო საზოგადოება და გათვალისწინებულია დირექციის, პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები და პრიორიტეტები. სკოლამ წარმოადგინა კათედრების შეხვედრის ამსახველი ოქმები, რომლებშიც ცალკე საკითხად გამოკვეთილია ,,სასწავლო კურიკულუმზე მუშაობის დაწყება". აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) ინტერესები და საკითხთა სპექტრი, რომელზეც სასკოლო საზოგადოებამ შეიძლება იმსჯელოს. საგნობრივი კურიკულუმის სამუშაო ვერსია განიხილება კათედრის სხდომაზე სადაც გათვალისწინებულია კათედრის ყველა წევრის უკუკავშირი. მასწავლებლები დამრიგებლების საშუალებით მშობლებს აწვდიან კომპლექსური დავალების ბარათებს, რათა ისინი იცნობდნენ, თუ რა კომპლექსური დავალება აქვთ შესასრულებელი მათ შვილებს და რა მიზნისა და უნარების განვითარებას ემსახურება ის. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი (დამუშავების პროცესშია, ელექტრონული ფოსტა, ბეჭდვითი მასალებ,სოციალური მედია და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.ასევე გამოკვეთილია მიმართებები სასწავლო პროცესის სხვადასხვა ელემენტებს შორის და მითითებულია, პრაქტიკული თვალსაზრისით თუ სად და როგორ უნდა აისახოს დისკუსიის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები / გაკეთებული დასკვნები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლას შემუშავებული აქვს ასევე „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია", რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება,შესაბამისად ხელმისაწვდომია და საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისათვის. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები , მაგ.მე-4 კლასის სადამრიგებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საათის გეგმაში იკითხება სხვადასხვა თემის,სიტუაციური ამოცანების ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირება. განხორციელებულ პროექტებსა თუ აქტივობებში აშკარაა საგანთშორისი ინტეგრირება და მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესის გათვალისწინება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესები და მათ საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,სადაც ჩანს ,რომ კურიკულუმს სკოლა შეიმუშავებს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და ადმინისტრაცია) ჩართულობით. შემუშავებულია გუნდურად და მორგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე. გასაუბრების საფუძელზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, იქნება ეს ტიპური სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები და სხვა. სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ასევე საგნობრივ კურიკულუმებს, არის საჯარო დოკუმენტი (გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეეგმებისა). მისი დამტკიცების პროცესი კი მოიცავს შეთანხმებას სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებას პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას მის საბოლოო ვარიანტის შექმნაში. ასევე იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის განვითარებაში **.**

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ფორმა და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც საუბარია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმებზე. სასკოლო საზოგადოების მხრიდან ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, პროცესი იმდენად კარგად არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მხრიდან, რომ შედეგების შეფასებაშიც ყველა მხარე თანაბრად არის ჩართული. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი (დამუშავების პროცესშია) , ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმი ;
- ,,კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“;
- „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია“;
- სადამრიგებლო საათის გეგმა ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტეგრირებული პროექტი- „მოგზაური ჩემოდანი“, მშობელთა ჩართულობით განხორციელებული აქტივობა „ვსწავლობთ კეთებით“, მანდატურების ჩართულობით განხორციელებული აქტივობა„ჩვენი ეზოს ამბები“.საკვირაო სკოლა „„ნორჩ მკითხველთა კლუბი“ , „მშობლის სკოლა“, „პრობლემების ყუთი“ ;
- სასკოლო სასწავლო გეგმა ;
- მშობლის ბარათი .

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი :
უცხოური ენების დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება.სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნული განვითარება. კურიკულუმებში სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, კონტექსტ - მაგალითები.
ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე მასწავლებლები ცდილობენ მოარგონ კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს, მათ შესაძლებლობებს და ინტერესებს. თითოეულ საგანში (მუსიკა, ხელოვნება) წლის განმავლობაში ხორციელდება ორი ან სამი კომპლექსური დავალება. რომელიც პასუხობს ცნებებს, ქვეცნებებს, თემებს და შესაბამისობაშია ერთმანეთთან.
დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებში მიზნები მუშავდება ე.წ. სამგანზომილებიანი კურიკულუმის მიდგომით, სადაც ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). შუალედურ მიზნად განიხილება და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მოსწავლეს მთლიან პიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება, რაც თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ გრძელვადიანი და შუალედური მიზნების არსი, იციან კომპლექსური დავალებების სტრუქტურა და მიზნები და აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმებით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ განვითარებას
.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში , კომპლექსური ტიპის დავალებებში პირობა იმგვარად არის ფორმულირებული, რომ ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ სავალდებულო თემების შესწავლას, არამედ ფუნქციურ-გლობალური უნარების განვითარებასაც. სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. გლობალური ფუნქციური უნარები (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (ეთიკა, პასუხისმგებლობა), ხასიათი ნება) აღქმულია უპირობოდ პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. წარმოდგენილი კურიკულუმების გაანალიზებისას და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის საგნობრივი საკითხები, დავალებები, თემები, ძირითადი/დამატებითი რესურსები და სხვა, რაც დაეხმარება მათ პიროვნული განვითარებას/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ასევე კათედრებზე დიდ ყურადღებას უთმობენ არაფორმალურ განათლებას, სხვადასხვა პროექტებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიციური უნარების განვითარებაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან ინტერვიუირებით ჩანს, რომ სკოლაში არ ჰყავთ სსსმ მოსწავლეები თუმცა , სასკოლო სასწავლო გეგმაში (შინ სწავლებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნაწილში) აღნიშნულია სკოლის ვალდებულება შინ სწავლების რეჟიმისა თუ სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნაზე. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება დიფერენცირებული მიდგომების და შეუძლიათ ეფექტური ინტერვენციების განხორციელება. მასწავლებელს კომპლექსური დავალებები ისეთნაირად აქვს შერჩეული, რომ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააკეთონ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა, ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას, რათა მოსწავლის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იყოს. ამ მსჯელობას ამყარებს მასწავლებელებთან ინტერვიუ, სადაც აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებთან მუშაობისას ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, საჭიროებებს, მზაობას და მის საფუძველზე ახდენენ აქტივობების დიფერენცირებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სასკოლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა აკადემიური შეფასების გზები, გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებზე. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ მოწოდებული რუბრიკების გარდა, სასწავლო წლის დაწყებამდე დამატებით შექმნიან მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით განმავითარებელი შეფასების და სტანდარტში მოცემული შედეგების ინდიკატორების გამოყენებით , განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს.დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში ამ ტიპის შეფასების გამოყენებაზე. უცხო ენაში წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში <u>არ გვხვდება</u> დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მათი მზაობა მისი ეფექტური წარმოების შესახებ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა გამოკვეთეს შეფასების ძირითადი ამოცანები და ისაუბრეს ასევე განმავითარებელი შეფასების ისეთ საშუალებებზე, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და სხვ.კომპიუტერული ტექნოლოგიებში დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას ყველა კლასში და განმსაზღვრელს - V-VI კლასებში . სკოლის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები/რუბრიკები,რომლებიც ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს, არის ვალიდური და უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი -კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება . რის საფუძველზეც სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ყოველივე ამის შედეგად ხდება წინა წლების გამოცდილების გათვალისწინება და ახალ კურიკულუმში ასახვა. ასევე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმილი შუალედური მიზნები სწორედ წინარე წარმატებულ გამოცდილებაზე და გამოწვევებზე დაყრდნობითაა შემუშავებული. მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმებიდან იკვეთება, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილება. გრძელვადიან მიზნად განსაზღვრული აქვს სამიზნე ცნებები, ხოლო შუალედური მიზანი კომპლექსური ბუნების დავალების სახითაა წარმოდგენილი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწყებითი კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმი - კომპლექსური დავალების იდეა „მოგზაურობა კოსმოსური ხომალდით“კომპლექსური დავალება „მოგზაურობა აღმოჩენების ეპოქაში“ და დღიურის შექმნა (შთაბეჭდილებები) ;
- პროექტის „ჩემი საოცნებო ქვეყანა“ გეგმა და მასალები;
- დანართი14. მეორე კლასების პროექტები ;
- კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი (ქართულიენა და ლიტერატურა) კურიკულუმი ;
- შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება
2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობა იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის, არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქის შექმნა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ასევე გასაუბრების დროს პედაგოგთა მხრიდან დადასტურდა, რომ მათთვის უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმი, მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური განათლების ხელშემწყობი აქტივობები. მაგ. ინტერვიუზე მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ სკოლას აქვს ოლიმპიადაში მონაწილეობის გამოცდილება, კერძოდ მე-5, მე -6 და მე-7 კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო რობოტიკის ოლიმპიადაში, რომელიც ორგანიზებული იყო იუჯი-ლიმესის აკადემიის მიერ. აქედან გამომდინარეც შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი.დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში პროცესი მიმართულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე და შერჩეულია სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები. ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეარჩიონ სათანადო თემები, კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მოსწავლეებისთვის გამომდინარე მათი წინარე ცოდნა-გამოცდილებიდან. ეს კი დაეხმარება მათ ცოდნის კონსტრუირებაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კათედრებს გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს, რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ზოგადად კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები წარმოდგენილია მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მაგ. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში დაწყებით საფეხურზე შუალედურ მიზნად განსაზღვრული აქვთ კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელება-გასიტყვების პროცესში აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტურ უნარებზე.

სკოლას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი მასალები, განმავითარებელი შეფასებები, რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილებულია სწავლის სწავლაზე. მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლებისას დიდ ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ ცოდნის შეძენას, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და ამის გათვალისწინებით გეგმავენ და ახორციელებენ კურიკულუმს. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები შეიცავს საკვანძო შეკითხვებს, რომლებიც გეზის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმცემად გასდევს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას. პროცესი იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებისა და ცნობისმოყვარეობის წახალისების შესაძლებლობას.მასწავლებლებთან საუბარი ცხდყოფს, რომ მოსწავლეებისთვის პოზიტიური უკუკავშირით ცდილობენ დაეხმარონ მათ საკუთარი შესაძლებლობების გააზრებასა და შეფასებაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება კომპლექსური დავალებების პირობებში, ასევე არაფორმალური განათლების ელემენტები იმგვარად არის დაგეგმილი, რომ ის ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებს სამივე ტიპის ცოდნას. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს.

ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება გულისხმობს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას, როდესაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მათი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის პოვნა. პედაგოგები ახორციელებდით საინტერესო სასწავლო პროექტებს (მაგ. „მარადმწვანე ხეები“). მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის დავალებას, მონაწილეობენ არაფორმალური განათლების ხელისშემწყობ ღონისძიებებში (მაგალითად პროექტი - „მოგზაური ჩემოდანი“).

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით იკვეთება ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მაგ. ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მათში გაწერილი კომპლექსური ტიპის დავალებები არის მოაზრებული, როგორც გზა და საშუალება სამივე კატეგორიის ცოდნის განვითარებისთვის. ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურიკულუმში გაწერილი თემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევს .

როგორც ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრებთან საუბრისას გაირკვა მოსწავლეებს უწევთ გარკვეული მხატვრული ამოცანის გადაჭრა, რომელშიც აუცილებელია გამოიყენონ ის ცოდნა და უნარები, რომელსაც სხვადასხვა საკითხის, თემის ან საგნების სწავლებისას გადიან. ინტერვიუს დროს კი მასწავლებლემა აღნიშნეს, რომ ხშირად ისინი გაკვეთილებზე ინტეგრირებას მიმართავენ. მაგალითად: მათემატიკასთან, ისტ-თან. სადაც მოსწავლეებს უწევთ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- დანართი 14. „მეორე კლასის პროექტები“;
- საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა) კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა;
- განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- მუსიკის, ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები;
- III კლასის კომპლექსური ბუნების დავალება კომპიუტერული ტექნოლოგიებში.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი თემები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე. კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია ცნებებისა და ქვეცნებების დამუშავებაზე, დაგეგმვა წარმოადგენს კარგ ინსტრუმენტს დაგეგმვისას ორიენტირებისთვის. საუბრისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი წარმოდგენები საგნობრივ დაგეგმვასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ პედაგოგებს აქვთ ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.კურიკულუმის ჩარჩოში და თვითშეფასების დოკუმენტში ფიქსირდება ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში ფუნქციურ -კომპონენტური უნარების განვითარების ხელშეწყობა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობას და საგნობრივ კონტექსტთან დაკავშირებსა.დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს „ნორჩ მკითხველთა კლუბი“, „ლოგიკური აზროვნების საწყისების“ საკვირაო სკოლა. მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტსა თუ აქტივობაში, მონაწილეობენ კონკურსებსა და ოლიმპიადებში, რაც ხელს უწყობს საგნობრივი კონტექსტების პიროვნული პრიზმიდან დანახვას და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას. შესასრულებელი დავალებები მოსწავლის პიროვნულ განვთარებაზეა ორიენტირებული, რაც კომპლექსური დავალებების პირობებშიც იკვეთება. მაგ: „შექმენი პლაკატი რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის/პრობლემის შესახებ (სკოლის, კლასის მნიშვნელოვენი საკითხები, გარემოს დაბინძურება, ცხოველების დაცვა, დედამიწის დღე და სხვ.)“ მოსწავლეს ეძლევა თავისუფლება საკუთარი წარმოდგენით დაგეგმოს დავალება და ისე გადაჭრას მხატვრული ამოცანა. ასვე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხელს უწყობენ მოსავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ცდილობენ სხვადასხვა ღონისძიებების და გამოფენების დახმარებით წარმოაჩინონ მოსწავლის ისეთი დაფარული უნარები, რომელსაც მანამდე მოსწავლემაც კი არ იცოდა. . ეს ძალიან ეხმარება მათ თვითშეფასებასა და თვითრეალიზებაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი საშუალებით მასწავლებელი სწავლა-სწავლებას წარმართავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჰოლისტური განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებებიც მოსწავლის პროგრესის ხელშემწყობი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სამომავლოდ შეფასების სისტემას უფრო დახვეწენ რუბრიკებს მოარგებენ კონკრეტული სასწავლო თემის საკითხებს/ქვესაკითხებსა და კონტექსტ-მაგალითებს და შეავსებენ არსებულ ბაზას. სკოლა ითვალიწინებს ეროვნული სასწავლო გეგგმის მიერ შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, რომელიც აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკური და ფსიქო-სოციალური) მიხედვით .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს. სკოლა იყენებს დაწყებით საფეხურზე 1-4 კლასში განმავითარებელი შეფასებას, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან და მე-6 კლასში განმსაზღვრელი შეფასებას. წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა რუბრიკები , რაც იძლევა მოსწავლის მიუკერძოებლად შეფასების საშუალებას, არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალიდური, გამჭვირვალობის მიზნით კი მასწავლებლები წინასწარ გააცნობენ მათ მოსწავლეებს. აღნიშნულს ამყარებს მასწავლებლებთან ინტერვიუ სადაც აღნიშნეს, რომ სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით შემუშავებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი თუ რას და როგორ შეაფასებს , რაზე უნდა გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. მასწავლებელს გააზრებული აქვს, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე - შემაჯამებელი დავალებების ანალიზზე, თვითშეფასებაზე დაყრდნობით ,შეიძლება ითქვას, რომ დაწყებით საფეხურზე ვერიფიკაციის მექანიზმის ცალკეული ელემენტები გვხვდება. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, მასწავლებლები აანალიზებენ რა ფაქტორები განსაზღვრავდა წარმატებას, რა იყო წარუმატებლობის მიზეზი და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. სასურველია სკოლამ წარმოადგინოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, დოკუმენტის სახით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპი, პროცესის აღწერა და შედეგების ანალიზი.კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით გამოიყენონ მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი და აწარმოონ სტატისტიკური შეფასებაც, რომლებიც ტიპური ვერიფიკაციის მეთოდებია .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლა ინახავს: მოსწავლეთა პირად საქმეებს, ბრძანებებს; სამეურვეო და პედსაბჭოს სხდომის ოქმებს, კათედრის სხდომის ოქმებს, მოსწავლეთა შესრულებულ სხვადასხვა სახის დავალებებს, თვალსაჩინოებებს, მაკეტებს. სკოლაში აქვთ სპეციალური ოთახი, სადაც ინახება ბოლო 5 წლის
განმავლობაში მოგროვებული დოკუმენტები

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები): სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნის კვირი გეგმები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- დანართი 14. „მეორე კლასის პროექტები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი;
- საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა) კურიკულუმი;
- შეფასების დოკუმენტები;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები ;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებები მე-3, მე-4 კლასების მე და საზოგადოების, მე-5, მე-6 კლასების ჩვენი საქართველოს საგნობრივი კურიკულუმები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში (სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი, სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სადამრიგებლო პროგრამა) აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა აქტივობების, მაგალითად, ფორმალური და არაფორმალური სასწავლო და სოციალური პროექტების განხორციელებას. სკოლას მოსწავლეებისათვის აქვს მათ საჭიროებებზე მორგებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. მოსწავლეები ინფორმირებულები არიან სკოლაში მოქმედი არაფორმალური სასწავლო-საგანმანათლებლო აქტივობების, წრეების, კლუბების შესახებ. შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მუშაობის გეგმები. მოსწავლეებს აქვთ საშუალება ესგ-ით გათვალისწინებული არჩევითი საგნებიდან აირჩიონ სასურველი საგანი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი ხელს უწყობს პოზიტიური და თანამშრომლობითი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებას. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით აქტიურია კომუნიკაცია მშობლებთან, მათთან საუბარი ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. ესთეტიკის და სპორტის კათედრა ერთად გეგმავს სკოლის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით მრავალფეროვან სპორტულ აქტივობებს, სადაც მონაწილეობას ღებულობს სკოლის დაწყებითი საფეხურის ყველა მოსწავლე მათი შესაძლებლობის და ინტერესების შესაბამისად .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო სასწავლო გეგმაში ძირითად მეთოდურ ორიენტირად წარმოდგენილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა. დაგეგმილ კურიკულუმში (სასწავლო თემები, საკითხები, აქტივობები, რესურსები) ჩანს, რომ სწავლა-სწავლების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, ინტერესები, საჭიროებები. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერაქციას. სასკოლო სასწავლო გეგმაში, წერია რომ სკოლის მისიაა მოსწავლეებს შეუქმნას განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. ასევე, წარმოდგენილი აქვთ აქტივობები და დავალებები, რომლებიც მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პროცესს წარმოაჩენს. სკოლას აქვს მზაობა, რომ მოსწავლეებს შეუქმნას განვითარებაზე ორიენტირებული გარემო.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის სტრუქტურული ერთეულები ჩანს, მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან; პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ერთობლივად ძიება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის სხვადასხვა პერსპექტივიდან ჩართვას კურიკულუმის შემუშავებაში. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თანამშრომლობით კულტურაზე და ჯანსაღ კომუნიკაციაზე, მასწავლებლები მოსწავლისთვის აღიქმება როგორც უფროსი მეგობარი. კათედრის ოქმებში იკითხება კათედრის წევრების შეთანხმებული მუშაობა კურიკულუმის დაგეგმვა შესრულებისას. კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას და აქვთ კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4.სკოლაში პოზიტიური საკლასო და სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმს წარმოადგენს როგორც სკოლაში მოქმედი ოფიციალური დოკუმენტები (შინაგანაწესი, კურიკულუმი, სტრატეგიული გეგმა, თვითშეფასების კითხვარი), ასევე მოქმედი ორგანოები : პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები და სხვა . სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა, მოქმედებს სხვადასხვა კლუბები, ხორციელდება პროექტები, მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში აქტიურად არის ჩართული კათედრები ,რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგადაც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა ;
- საპროექტო და საკლუბო მუშაობის დოკუმენტაცია ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- მუსიკის, ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩოები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების მე-3, მე-4 კლასების მე და საზოგადოების, მე-5, მე-6 კლასების ჩვენი საქართველოს საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის გახორციელების მონიტორინგის მექანიზმს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. სადაც აღწერილია, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი, რომელიც უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული იქნება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული იქნება ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლაში არსებული თანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ეფექტიან განხორციელებას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით,ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად ,რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება კიდეც, რომ მათ გათვითცნობიერებული აქვთ, რომ მონიტორინგი და შეფასება აუცილებელი და საჭირო პროცესია, რის შედეგადაც ვლინდება როგორც ძლიერი ასევე სუსტი მხარეები და სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვთ, როგორ გამოიყენოს ის პროცესებისა და შედეგების გაუმჯობესებისათვის და შეფასება გამოიყენონ, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- საგნობრივი (ქართული)კურიკულუმი;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებები მე-3, მე-4 კლასების მე და საზოგადოების, მე-5, მე-6 კლასების ჩვენი საქართველოს საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით_სასკოლო-სასწავლო გეგმის, სხვადასხვა კლასში განხორციელებული დავალებების ანალიზის მიხედვით შეფასება მრავალფეროვანია და ეყრდნობა სხვადასხვა წყაროს. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,რომელთა გამრავალფეროვნებას გეგმავენ მასწავლებლები მომავალი სასწავლო წლისთვის. ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეისწავლეს და გააანალიზეს მიღებული შედეგები და დასახეს ახალი მიზნები. პრევენცია განხორციელდება მომავალ სასწავლო წელს. სკოლის დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუდან გამომდინარე საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერი კომენტარი, რომელიც მიმართულია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოსაჩენად და რჩევების ზუსტად და გასაგებად მიცემაში, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების განვითარებას და სასწავლო პროცესის შედეგების გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს მზაობა, შეფასება ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მონაცემთა შეგროვება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებთან, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით, უკუკავშირებით, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებით შეიძლება ვთქვათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა კონტექსტის გამოყენებით, მოსწავლის შესაძლებლობების,ინტერესების გათვალისწინებით და იძლევა მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას. სამომავლოდ გეგმავენ შეფასების რუბრიკების გადახედვას, დახვეწას, საჭიროებებზე უკეთ მორგებას, რომ ახლებური მეთოდებით უფრო მოქნილი, საინტერესო და მოტივაციის მიმცემი გახადონ

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. თვითშეფასების განაცხადის მიხედვით, სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ მომავალ სასწავლო წელს გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ. ეს მათ საშუალებას მისცემთ, მრავალმხრივ დაინახონ და შეაფასონ პრობლემა. ასევე დაგეგმილია წელიწადში ორჯერ ჩატარდეს სადიაგნოსტიკო შეფასება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიიდან იკვეთება, რომ შეფასება მიმდინარეობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასებისა და სამიზნე ცნებებთან მიმართებით, მაგ. დაწყებითი საფეხურის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებისას ძირითადად იყენებენ განმავითარებელი შეფასებებს და სიტყვიერ კომენტარებს, შეფასებები ხდება საჭიროებებისა და მიღწევებში შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მაგ.სასკოლო- სასწავლო გეგმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვით,თვითშეფასების ჩანაწერებით, მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით,სხვადასხვა ხედვის კუთხით. შეფასებისას მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეზე ზემოქმედების არაერთ ფაქტორს.სასწავლო პროცესის შეფასებისას ყურადღება ექცევა, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, რამდენად შეესაბამება სკოლის ფილოსოფიას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები. გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ ხორციელდება მოსწავლეთა მხარდამჭერი პროგრამების/აქტივობების ეფექტურობის ანალიზი;.**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა) კურიკულუმი;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო

შეფასება.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც გაწერილი კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის პროცესები. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა. გაანალიზებენ, რა ფაქტორები უწყობდა/უშლიდა ხელს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას, რა ფაქტორები უწყობდა/უშლიდა ხელს სკოლის დირექციის ჩართულობას. იგეგმება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება. მონაცემების ანალიზის საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად, რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილია კურიკულუმის განვიათარებისა და მხრდამჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. ითვალისწინებენ მიღწევების ანალიზს, თვითშეფასების საფუძველზე ქმნიან გადამუშავებულ კურიკულუმებს, ამის დასტურია თუნდაც კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
2. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი და წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და აქტიურად არიან ჩართულები საგნობრივი კათედრები, რაც დადასტურდა კათედრის მასწავლებლებთან შეხვედრის დროს. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“(1.3.1) წერია: „ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება... “ჩანს სკოლის ხედვა ,როგორ ,რა მიმართულებით უნდა წარიმართოს რევიზია და როგორ უნდა იყოს ჩართული და გათვალისწინებული ამ პროცესში სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა მათი მზაობა სასკოლო კურიკულუმის რევიზირებასთან მიმართებით,მათ აღნიშნეს ,რომ მომავალი წლის რევიზირებულ კურიკულუმში ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს,განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებსა და მიგნებებს.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი (ქართული)კურიკულუმი;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების და შესაძლებლობის გათვალისწინება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს მთელი სასკოლო საზოგადოება, დოკუმენტი იგება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნას დირექციის, პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები და პრიორიტეტები. მოსწავლეზე ორიენტირებისას კი შემდეგი ფაქტორები: მასალის სიღრმისეული გააზრების ხელის შეწყობა, ისეთი გარემოს შექმნა, რომ ყველა მოსწავლემ იგრძნოს თავი რეალიზებულად.სასაწავლო წლის დასაწყისში კათედრები შეიმუშავებენ წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტებს. ხორციელდება კვლევები, რათა გამოიკვეთოს მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები. შესაბამისად იგეგმება კლუბების, წრეების მუშაობა. სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლის ინტერვიუდან ჩანს რომ კათედრალური კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, გათვალისწინებული მოსწავლეების ინტერესები და ხდება მშობლებისთვის ინფორმაციის გაზიარებ. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან კვლევის ჩატარებას, რომლის შედეგების ანალიზით გათვალისწინებული იქნება კურიკულუმების შემუშავების და გადამუშავების დროს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა წრეს ,კლუბებს. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესები და მათ საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება. სასკოლო პროექტების და სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით მაგ.ესთეტიკური აღზრდის კათედრა ხშირად რთავს მშობლებს და მოსწავლეებს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებაში. ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში, მოსწავლეებმა მშობლებთან ერთად დაამზადეს საახალწლო და შემდეგ სააღდგომო სუვენირები, გამოფენა -გაყიდვის შემდეგ შემოსული თანხით დაეხმარნენ სოციალურად დაუცველებს. კათედრას დაგეგმილი აქვთ ასევე სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიება, რომელშიც ესთეტიკის კათედრა აქტიურობს. სასწავლო მასალა, შუალედური მიზნები, რესურსები მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს. მოსწავლეთა ინტერესები გათვალისწინებულია კომპლექსური შინაარსის აქტივობების შესრულების არჩევისას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კურიკულუმი შემუშავებულია გუნდურად და მორგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს ,რომელიც კარგად ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში. კოლეგებთან შეხვედრის ოქმებში, ჩანს, რომ კათედრების წევრები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე მორგებულ აქტივობებს და ითვალისწინებდნენ სწავლა-სწავლების პროცესში. დამრიგებლების დახმარებით მშობლები ჩართული არიან კურიკულუმის შემუშავებაში, ყოველკვირეულად, იმართება მშობლებთან შეხვედრები და განიხილება სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებები. მშობლებთან ურთიერთობენ სოციალური ქსელითაც დახურულ ჯგუფებში. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს,რომ ცდილობენ გაითვალისწინონ სასკოლო საზოგადოების პოტენციალი და გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში .**ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება მთლიანად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს ეგზავნება “მშობლის ბარათი” და ცნობილი ხდება, რომელ კომპლექსურ დავალებებზე უნდა იმუშაონ მათმა შვილებმა სასწავლო წლის განმავლობაში. ინფორმაციები სასკოლო ცხოვრების შესახებ ზიარდება სოციალურ ქსელის, თიმსის ჯგუფების საშუალებით. დაწყებულია სკოლის ვებ–გვერდის შექმნაც, რომელიც უფრო მასშტაბურ საჯარო სივრცეში გააცნობს სკოლის მუშაობის შინაარსს ფართო საზოგადოებას. იგეგმება მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობის გაზრდა არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი ღონისძიებების იდეების შემუშავებაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საბაზო საფეხურის ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა)კურიკულუმი;
- მშობლის ბარათები;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ჩანს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები შექმნილია მოსწავლის ასაკობრივი ინტერესების, შესაძლებლობების მიხედვით და ითვალისწინებს საფეხურის მისაღწევ შედეგებს. ცნებები ემსახურება გრძელვადიანი და შუალედური მიზნების დამუშავებას. სასწავლო კურიულუმის ჩარჩოები იმგვარადაა შედგენილი, რომ ითვალისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც მიემართება მოსწავლის სხვადასხვა უნარების განსავითარებლად. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი მაგ. საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებების სახთ). წარმოდგენილ კურიკულუმში ასახული საკითხთა კლასტერები, კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები და მათთან დაკავშირებული კონტექსტ მაგალითები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობას იძლევა და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინტერესის და ცნობისმოყვარეობის აღძვრას, შემოქმედებითობის უნარის განვითარებას და მოსწავლეს შეუქმნის ავტონომიურობის განცდას, მას დასჭირდება ძალისხმევა გაიღოს, რათა შედეგს მიაღწიოს, რაც გამოიწვევს მოსწავლეთა ემოციურ კმაყოფილებას.მაგ. მე-7 კლასში ფიზიკაში თემის „ძალა და წნევა“ შესწავლისას, დაგეგმილია კომპლექსური დავალების „თვითმფრინავის მოდელის შექმნა“. დაგეგმილია უამრავი საინტერესო რესურსის გამოყენება, რაც გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და ინტერესს.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
2. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩარჩოებიდან ჩანს ,რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე(სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები). სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები, რომლებიც მუშავდება კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით, რაც ასევე დასტურდება ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობის ამსახველი მასალებით , ინტეგრირებული პროექტების რეფლექსიებით. გასაუბრებამ აჩვენა, რომ პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ სამიზნე ნიშნულებამდე მისვლის გზები და გლობალურ ფუნქციურ უნარების განვითარებაზე მუშაობის დაგეგმვის უნარები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სხვადასხვა საგნის საბაზო საფეხურის კურიკულუმები მოსწავლეებს ასევე სთავაზობს მრავალფეროვან იდეებს,თემის ფარგლებში გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით საკითხების შესწავლა ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ ცხოვრებისეულ კონტექსტებს, რაც წარმოადგენს საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესი და ინდივიდუალური შესაძლებლობები. კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში პროდუქტებში არჩევანის შესაძლებლობა და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები ასევე იძლევა დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობას. პედაგოგებს აქვთ შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირების გამოცდილება. ინტერვიურების პროცესში წარმოჩინდა, რომ სასკოლო საზოგადოების მიზანია, ყველა მოსწავლეს მიუწვდებოდეს ხელი ხარისხიან განათლებაზე, შეიქმნას ისეთი სასკოლო სივრცე, რომ ყველამ რეალიზებულად იგრძნოს თავი. ამისათვის საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებების შესრულებისას ითვალისწინებენ, როგორც პირობის, ისე აქტივობების მოდიფიკაციას. გაკვეთილებზე იყენებენ დამხმარე რესურსებსა და დამატებით დავალებებს. სასწავლო აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლის შესაძლებლობებს, მახასიათებლებს; სასწავლო პროცესი მოქნილია, წარმოაჩენს მოსწავლის ინდივიდუალიზმს, გაკვეთილზე იქმნება კეთილგანწყობილი, ინკლუზიური გარემო, სადაც მოსწავლე რეალიზებულად გრძნობს თავს, დაფასებულია ყველას აზრი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. განმსაზღვრელი შეფასება გამოიხატება ქულებით, განმავითარებელი კომენტარით და ის ეხმარება მოსწავლეს საკუთარი პროგრესის დანახვაში, ცოდნის დიაგნოსტირებაში. საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში ამ ტიპის შეფასების გამოყენებაზე. სასწავლო სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ მოწოდებული რუბრიკების გარდა, სასწავლო წლის დაწყებამდე დამატებით შექმნიან მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით განმავითარებელი შეფასების და სტანდარტში მოცემული შედეგების ინდიკატორების გამოყენებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, ახალი სასწავლო კურიკულუმის შედგენისას წინარე გამოცდილების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებისა და პედაგოგთა ურთიერთდასწრების ანალიზი. კურიკულუმის ჩარჩოში მოცემულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც ეყრდნობა წინარე გამოცდილებას, ცხოვრებისეულ სიტუაციებს. მაგ. მე-8 კლასის ფიზიკის კურიკულუმში მოცემულია კომპლექსური დავალების იდეა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრეზენტაციის შექმნა „როგორ იცავს თოვლის სახლი ადამიანებს სიცივიგან“, კონტექსტ-მაგალითად აღებულია ვიდეოს ,,ესკიმოსების ცხოვრება“ ჩვენება. მასწავლებლების ინტერვიუდან ჩანს, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, აქტივობები შერჩეული და დალაგებული იქნება კონსტრუქტივიზმის პრინციპით, გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება. თითოეული ნაბიჯის ბოლოს დასვამენ სამიზნე ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს, რომლებზე პასუხებიც იძლევა ინფორმაციას, როგორ გაიაზრა მოსწავლემ კონკრეტული საკითხი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კურიკულუმები.
- დანართი 34. კლუბების დებულება ;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა)კურიკულუმი;
- შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- საბაზო საფეხურის ესთეტიკური აღზრდის და მუსიკის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას იკვეთება, რომ კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესის, არამედ შემოქმედიც. მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა (მაგ. დღიური, სტატია, ესე, პოსტერი, ბუკლეტი, პრეზენტაცია, დიალოგი, პროექტი, და სხვა...) ასევე გასაუბრების დროს პედაგოგთა მხრიდან გაჟღერდა, რომ მათთვის უმთავრესი მიზანია მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმები და მათ მიერ განხორციელებული არაფორმალური განათლების ხელის შემწყობი აქტივობები.
სკოლაში დაგეგმილია მომავალ სასწავლო წელს ფუნქციონირება დაიწყოს შემოქმედთა კლუბმა და გაიხსნას ნორჩ ხელოვანთა ოთახი. ასევე ესთეტიკის კათედრას გამოეყოს აუდიტორია, სადაც განთავსდება პიანინო, ცნობილ მხატვართა ნამუშევრების ასლები და სხვა. ეს ადგილი კი გახდება ხელოვანებთან საინტერესო შეხვედრის ადგილი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კათედრებს გააზრებული აქვთ, იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ეფექტური საჭიროა მასში ჩააშენონ პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა. ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
2. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. პედაგოგები ითვალისწინებენ, რომ მოსწავლე უკეთ ითვისებს მასალას, რომელზეც უკვე აქვს გარკვეული წარმოდგენა; ცოდნა იგება მარტივიდან რთულისაკენ და მოსწავლე თავად მართავს პროცესს. კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ მის ფარგლებში მოსწავლე აგებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ცოდნას. ამას ემსახურება სასწავლო თემების შესაბამისი მასალის შერჩევა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელება-შეფასება. სამომავლოდ კათედრები გააგრძელებენ ამ კუთხით მუშაობას წარმატებული პრაქტიკის გაზიარების დახმარებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. წარმოდგენილ კურიკულუმში საბაზო საფეხურზე შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელების პროცესში აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტურ უნარებზე.პროცესი იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებისა და ცნობისმოყვარეობის წახალისების შესაძლებლობას. მეტაკოგნიციის განვითარებას ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ დავალებების პრეზენტაცია, რომლის დროსაც მოსწავლე ადარებს მის დავალებას წინასწარ დასახულ კრიტერიუმებთან. წარმოდგენილია განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი მასალები, განმავითარებელი შეფასებები, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ბარათები,რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილებულია სწავლის სწავლაზე.

მასწავლებლებმაც ინტერვიუირებისას აღნიშნეს,რომ სწავლა-სწავლებისას დიდ ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ ცოდნის შეძენას, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და ამის გათვალისწინებით გეგმავენ და ახორციელებენ კურიკულუმს.სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კომპლექსური ტიპის დავალების პრეზენტაციისას მოსწავლეებს უსვამენ კითხვებს: „რა იყო შენთვის ყველაზე მეტად საინტერესო, რომელსაც აუცილებლად გამოიყენებ პრაქტიკაში? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან?“ ეს ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი გაკეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ამაზე მეტყველებს შუალედურ მიზნებად კომპლექსური დავალებების განხილვა. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას შემოქმედებითობა სჭირდება, დამოუკიდებელი მსწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირება გულისხმობს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას, როდესაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მათი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის პოვნა. სტრატეგიული განვითარების გეგმაში ჩანს პროექტები, საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში კი კომპლექსური დავალებებია წარმოდგენილი, რომელიც გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებას. მაგალითად: „შექმენი ტანსაცმლის რამოდენიმე ესკიზი და გააკეთე მისი პრეზენტაცია. გამოიყენე მასში: ტარადიციული და თანამედროვე ელემენტები, ორნამენტი, შეახამე კონტრასტული და ჰარმონიული ფერები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. საგნობრივ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა ნათელ სურათს თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად. ასევე აღსანიშნავია ინტერვიუზე მასწავლებლის მიერ გაზიარებული პრაქტიკა, თუ როგორ ხდება ცოდნის და უნარების თავმოყრა . მოსწავლეებს უწევთ გარკვეული მხატვრული ამოცანის გადაჭრა, რომელშიც აუცილებელია გამოიყენონ ის ცოდნა და უნარები, რომელსაც სხვადასხვა საკითხის, თემის ან საგნების სწავლებისას გადიან. ინტერვიუს დროს კი მასწავლებლემა აღნიშნეს, რომ ხშირად ისინი გაკვეთილებზე ინტეგრირებას მიმართავენ. მაგალითად: ისტორიასთან, ისტ- თან. სადაც მოსწავლეებს უწევთ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ტრანსფერი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა)კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები;
- მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- საბაზო საფეხურის ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის კურიკულუმები;
- კლუბების დებულება;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). კურიკულუმებში წარმოდგენილი შუალედური სასწავლო მიზნები აზუსტებს სამიზნე ცნენებს, ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. საუბრისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს აქვთ სწორი წარმოდგენები კურიკულუმების დაგეგმვასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2.საგნობრივ კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმი მოიცავს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის საჭირო ასპექტებს. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს არაერთი კლუბი-მკითხველთა , „ეკოკლუბი“,,,სამოქალაქო განათლების კლუბი“,ე.წ. „საღამოს სკოლა“. მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტსა თუ აქტივობაში, მონაწილეობენ კონკურსებსა და ოლიმპიადებში,სასკოლო კონფერენციებში, სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები თეორიული, პრაქტიკული .კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართულია ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს მათ შორის ქართული ტრადიციული სპორტის სახეობების ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მოსწავლეების მიერ შექმნილი პროექტები და ბუკლეტები ხელს უწყობს უწყობს საგნობრივი კონტექსტების პიროვნული პრიზმიდან დანახვას და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი საშუალებით მასწავლებელი სწავლა-სწავლებას წარმართავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებებიც მოსწავლის პროგრესის ხელშემწყობი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლამ შეარჩია შეფასების პირველი მოდელი .სამომავლოდ შეფასების სისტემას უფრო დახვეწენ , რუბრიკებს მოარგებენ კონკრეტული სასწავლო თემის საკითხებს/ქვესაკითხებს ,კონტექსტ-მაგალითებს და შეავსებენ არსებულ ბაზას. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ შეფასების აუცილებელ კომპონენტებად უნდა განიხილონ დიფერენცირება და მოსწავლის დიაგნოსტირება განვითარების ყველა სფეროს (კოგნიტური, ფიზიკურიდა ფსიქო-სოციალური) მიხედვით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით ე.ი **არის ვალიდური**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი - წარმოდგენილ/განსახორციელებელ კომპლექსური დავალებებში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, მასწავლებლებმა იციან კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, რაც წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ მოსწავლეებისთვის ცნობილი იქნება თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. კომპლექსურის განხორციელების პირველ ეტაპზე მოსწავლეები გაიაზრებენ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა.
სანდო - სათანადოდ გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის მზაობაც აქვთ მასწავლებლებს, წარმოადგენს სანდოობას. შესაბამისად ვასკვნი, რომ სკოლის მიერ დანერგილი შეფასების სისტება არის სანდო, მდგრადი და რეალისტური, ის სანდოა და მიუკერძოებელი.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
5. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მოქმედებს შეფასების გარე ვერიფიკაციის სისტემა და ტარდება სადიაგნოსტიკო ტესტირებები სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ. რომელთა შედეგების ანალიზს იყენებენ არსებული გამოწვევების და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებისთვის. ასევე იგეგმება სკოლამ დაამკვიდროს სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა წელიწადში ორჯერ.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
6.სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ დოკუმენტების შენახვისას ითვალისწინებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებსა და სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულ მითითებებს. სკოლა ინახავს: მოსწავლეთა პირად საქმეებს, ბრძანებებს; სამეურვეო და პედსაბჭოს სხდომის ოქმებს, კათედრის სხდომის ოქმებს, მოსწავლეთა შესრულებულ სხვადასხვა სახის დავალებებს, თვალსაჩინოებებს, მაკეტებს. სკოლაში აქვთ სპეციალური ოთახი, სადაც ინახება ბოლო 5 წლის განმავლობაში მოგროვებული დოკუმენტები.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა)კურიკულუმი;
- შეფასების დოკუმენტები;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების მე-7, მე-8, მე-9 კლასების გეოგრაფიის, მოქალაქეობის, ისტორიის საგნების კურიკულუმები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ინტერვიუს დროს აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო,ამას ადასტურებს ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების რეფლექსიები, სკოლაში განხორციელებული არაფორმალური თუ ფორმალური განათლების აქტივობები, რომლებიც გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული წინსვლისთვის. სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებულ**.**

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2.საბაზო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და დაგეგმილ კურიკულუმში (სასწავლო თემები, საკითხები, აქტივობები, რესურსები) ჩანს, რომ სწავლა-სწავლების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, ინტერესები, საჭიროებები, სწავლის სტილი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პოზიტიურ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერაქციას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. კურიკულუმის შედგენისას პედაგოგებმა გაითვალისწინეს, თუ როგორ შეუწყონ ხელი მასალის სიღრმისეულ გააზრებას , ყველა მოსწავლემ იგრძნოს თავი რეალიზებულად,როგორ დაეხმარონ მათ პიროვნული და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში. სკოლა მხარს უჭერს არაფორმალურ განათლების აქტივობებს. დაწესებულებაში ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა, ნიჭიერთა საღამოს სკოლა VII-XI კლასელთათვის (სკოლაში გადმოსვლის მსურველთათვის), საოლიმპიადო წრეები VII-XII კლასელთათვის (STEM-ის საგნებში) განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეთათვის, რობოტიკის წრე 3 მიმართულებით (დამწყები, საშუალო, დიდები) და ჭადრაკის წრე-დაწყებით საფეხურზე-აზროვნების კონცენტრაციის გაუმჯობესებისთვის, ეკოკლუბი. სკოლას აქვს სერიოზული მიღწევები სტემის მიმართულებით ,ჰყავს ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების გამარჯვებულები ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, ინფორმატიკაში. მაგ. ევროპის ფიზიკოსთა ოლიმპიადაზე ქუთაისის N41 სკოლის მოსწავლეებმა 2022 წელს ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპადაზე და ფიზიკის თასის გათამაშებაზე-ვერცხლის მედლები და სხვა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომობით კულტურას და კომუნიკაციას. კათედრის წევრები რომ მუდმივად ორიენტირებული არიან როგორც მოსწავლეთა, ასევე ერთმანეთის მხარდაჭერაზე, გამოიკვეთა მასწავლებელთა ინტერვიუირების პროცესში. თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია ჩანს სკოლის შინაგანაწესში, კათედრის სხდომის თუ სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეხვედრის ოქმებში.კათედრაზე მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ურთიერთდასწრების შემდეგ აანალიზებენ შედეგებს ,ზრუნავენ ერთმანეთის პროფესიულ წინსვლაზე. სკოლაში მოქმედებს „ კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი. წახალისებულია თანამშრომლობა და თანასწავლება. სკოლა გეგმავს და ახორციელებს საინტერესო სასკოლო პროექტებს. მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ მოსაზრებას, შეხედულებას, მონაწილეობენ პროექტების იდეების, ღონისძიებების შერჩევა-დაგეგმვაში, სადამრიგებლო საათის თემატიკის შერჩევაში. არ ეშინიათ შეცდომების დაშვებისა. პატივს სცემენ სხვების აზრს და ზრუნავენ ერთმანეთზე, შეუძლიათ კონფლიქტის მართვა. მანდატურის სამსახური და მრჩეველთა საბჭო ჩართულია აქტივობებში. სამომავლოდ შენარჩუნდება და განვითარდება პოზიტიური კლიმატი, რაც გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):სასკოლო სასწავლო გეგმა

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- საპროექტო და საკლუბო მუშაობის, სკოლის მიღწევების ამსახველი დოკუმენტები ;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- საბაზო საფეხურის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კურიკულუმები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები ნაწილობრივ ასახულია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტის შემუშავებას და გამოყენებას, შესაბამისი დოკუმენტაციის მოწესრიგებას.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2.სკოლაში არსებული თანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ეფექტიან განხორციელებას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით,ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს წარმოდგენილი მტკიცებულებები, მაგ. სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა უნდა განსაზღვროს სწავლის პროცესების მიმდინარეობა დაგეგმილი კურიკულუმების ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და შეაფასოს დაგეგმილი აქტივობების მიზნობრიობა სასურველ შედეგთან მიმართებით (შეფასება). ეს მაფიქრებინებს რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესების კვლევა -ანალიზზე დაფუძნებით, რათა დაადგინოს გამოწვევები და ადეკვატურად უპასუხოს მათ.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები;
- საბაზო საფეხურის ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის კურიკულუმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად მოსწავლის შეფასებისას შეიძლება გამოყენებული იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულია, რომ შეგროვდეს მრავალფეროვანი წყარო: საგნობრივი პროგრამები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა ნამუშევრები, მასწავლებლის პორტფოლიო და სხვ. ინფორმაციას აგროვებენ და წარადგენენ საგნის პედაგოგები, კლასის დამრიგებლები, კათედრის ხელმძღვანელები, დირექცია. აქვთ მზაობა, რომ სასწავლო პროცესის შეფასება გახდეს უფრო ამომწურავი, რისთვისაც გეგმავენ მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას, ინსტრუმენტების დახვეწას, შესაბამისი დოკუმენტების მაღალი ხარისხით მომზადებას.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით - განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით, უკუკავშირებით, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებით შეიძლება ვთქვათ, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონტექსტის გამოყენებით, მოსწავლის შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინებით და იძლევა მრავალმხრივი შეფასების შესაძლებლობას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ. და სხვა. ეს მათ საშუალებას მისცემთ, მრავალმხრივ დაინახონ და შეაფასონ პრობლემა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება ექცევა, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, რამდენად შეესაბამება სკოლის ფილოსოფიას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა)კურიკულუმი;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- საბაზო საფეხურის ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“(1.2)წერია: „ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე“. მასწავლებელთა ინტერვიუირებისას გააჟღერეს ,რომ საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სავარაუდოდ, მომავალშიც ,კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების ეტაპზე, ითანამშრომლებენ, გააანალიზებენ ინფორმაციას განხორციელებული აქტივობების შესახებ, გაცვლიან მონაცემებს და მათი შეჯერების საფუძველზე შექმნიან მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შესამუშავებლად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“(1.3.1) წერია: „ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება“. ჩანს სკოლის ხედვა ,როგორ ,რა მიმართულებით უნდა წარიმართოს რევიზია და როგორ უნდა იყოს ჩართული და გათვალისწინებული ამ პროცესში სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა მათი მზაობა სასკოლო კურიკულუმის რევიზირებასთან მიმართებით,მათ აღნიშნეს ,რომ მომავალი წლის რევიზირებულ კურიკულუმში ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს,განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებსა და მიგნებებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი (ქართული)კურიკულუმი;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, კერძოდ, რა მექანიზმებით, საშუალებებით იგებენ მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, თემის ინტერესებს,ესენია ანკეტირება, სოციალური ქსელი, სკოლის ვებ გვერდი (ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია). სახელმწიფო ენის კათედრის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ხაზი გაუსვეს სკოლაში მაღალი თანამშრომლობითი კულტურის არსებობას, რამაც განაპირობა სასკოლო საზოგადოების შეთანხმებული მუშაობა. მასწავლებლები ერთობლივად ქმნიდნენ კურიკულუმს,გეგმავდნენ კომპლექსურ დავალებებს, მუშაობდნენ სასკოლო-სასწავლო გეგმაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საშუალო საფეხურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები , მაგალითად, სადამრიგებლო პროგრამებში, საშუალო საფეხურზე განხორციელებულ პროექტებსა თუ ღონისძიებებში აშკარაა საგანთშორისი ინტეგრირება და მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესის გათვალისწინება . სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს წრეებს ფიზიკა-მათემატიკის მიმართულებით, კლუბებს „ეკოლოგიის“, „მკითხველთა“ , „სამოქალაქო განათლების“. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესები და მათ საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3.სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ადასტურებს, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი, ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, იქნება ეს ტიპური სასწავლო პროცესი, თუ მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კვლევებში მონაწილეობა, არაფორმალური განათლების აქტივობები და სხვა. გარდა იმისა, იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. ინტერვიურების მიგნების თანახმად, კურიკულუმის შემუშავების პროცესში ეცადნენ, რომ დოკუმენტი უნდა ყოფილიყო არა ერთეული პედაგოგის თუ კათედრის მიერ შედგენილი, არამედ მთელი სასკოლო საზოგადოების მუშაობის შედეგი, ამგვარად მიიღეს დოკუმენტი, რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებელი იქნება მთელი გუნდი. პედაგოგების მიერ შემუშავებული პროგრამები განიხილეს კათედრებმა. იგეგმება, რომ შედგეს პრეზენტაცია მთელი სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით. დამრიგებლებმა მშობლებსა და მოსწავლეებს გააცნეს სასწავლო გეგმები, საკომუნიკაციოდ გამოიყენეს Teams-ის პლატფორმა, კლასისა და მშობელთა ონლაინჯგუფები, ასევე მშობელთა კრებები. სამუშაო პროცესშია და იხვეწება სკოლის ვებ–გვერდი, რომელიც უფრო მასშტაბურ საჯარო სივრცეში გააცნობს სკოლის მუშაობის შინაარსს ფართო საზოგადოებას. იგეგმება მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობის გაზრდა არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი ღონისძიებების იდეების შემუშავებაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი (ქართული ენისა და ლიტერატურის)კურიკულუმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მშობლის ბარათები;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- საშუალო საფეხურის ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის კურიკულუმები;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. შუალედურ მიზნებად განისაზღვრება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას და საგნობრივი საკითხის ღრმად გააზრებას. მასწავლებლების ინფორმაციით, კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ, რომ სწავლა-სწავლება კონსტრუქტივისტულად, მოსწავლისათვის საინტერესოდ, მისივე აქტიური შემოქმედებითი პროცესით მიმდინარეობდეს. პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. პედაგოგებმა განსაზღვრეს სწავლების პროცესის დასაგეგმი თემები, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით დააზუსტეს საგნობრივი სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, შეარჩიეს კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი ღონისძიებები, რა დროსაც გაითვალისწინეს კლასების მზაობა, წინარე ცოდნა, ინტერესები, შესაძლებლობები. მომზადდა დამატებითი სასწავლო რესურსები, შეფასების რუბრიკები და ინსტრუმენტები განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებისათვის. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, მათი შესაბამისი კონტექსტ -მაგალითები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეზე და ემსახურება მოსწავლის დაინტერესებას შესასწავლი საკითხებით. დაგეგმილია უამრავი საინტერესო რესურსის გამოყენება, რაც გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და ინტერესს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი მაგ. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და აგებულია სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით, რომლის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და შედეგი. (ამ მხრივ კურიკულუმში შეინიშნება მცირეოდენი გამოწვევები, თუმცა მთლიანი სურათის აღქმას ხელს არ უშლის. მაგ. სავალდებულო თემის ფარგლებში არის შემთხვევები, რომ გამოტოვებულია სამიზნე ცნება, მაგრამ მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ჩაასწორებენ) კურიკულუმში ასახული საგნობრივი საკითხები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებები იძლევა საფუძველს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურების, რადგან თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონებტურ უნარებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ საჭიროების მოსწავლეები,თუმცა სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია საჭიროების შემთხვევაში მოქმედების მექანიზმი.მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას ისაუბრეს,რომ მათ აქვთ დიფერენცირების გამოცდილება,შეუძლიათ ,საჭიროებისამებრ პრობლემის ტიპის დროული განსაზღვრა და მის დაძლევაზე ორიენტირებული ეფექტური ინტერვენციების განხორციელება.სასურველია,დიფერენცირების გამოცდილება გაითვალისწინონ კურიკულუმში გაწერილ კომპლექსურ დავალებებში,როგორც პირობის,ისე აქტივობების მოდიფიცირებით .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში ამ ტიპის შეფასების გამოყენებაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, გაწერილია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. დოკუმენტში ასევე მოცემულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა. როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობა სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება როგორც შუალედურ, ასევე გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას თქვეს, რომ გაკვეთილზე იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმას: ზეპირ კომენტარს, შესასვლელ და გასასვლელ ბილეთებს, კომენტარებს, „სენდვიჩის მეთოდს“. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოწოდებული რუბრიკების გარდა, სასწავლო წლის დაწყებამდე დამატებით შექმნიან მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი შეფასების და სტანდარტში მოცემული შედეგების ინდიკატორების გამოყენებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5.სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და აგრეთვე კათედრის თავმჯდომარის ინტერვუიდან იკვეთება რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გამოცდილების ანალიზი და წერილობით რეფლექსიას საფუძველზე კეთდება უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს ეძლევათ რეკომენდაციები. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ახალი სასწავლო წლის კურიკულიმის გადამუშავებისას კი გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის მეთოდოლოგია;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი ((ქართული ენისა და ლიტერატურის)კურიკულუმი;
- შეფასების რუბრიკები; მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- მასწავლებლის ინტერვიუს შედეგები;
- საშუალო საფეხურის ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი პროდუქტები: მოდელი, პოსტერი, ელექტრონული პრეზენტაცია და ა.შ., მრავალფეროვანი მიმყვანი აქტივობები იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას და აქტიურ ჩართვას სწავლის პროცესში. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა საინტერესო აქტივობას, პროექტებს. სკოლაში მუშაობს ეკოკლუბი, რომლის მიზნებია: სასკოლო საზოგადოებაში გარემოს დაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, პირადი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერება გარემოში მიმდინარე პროცესების მიმართ, მდგრადი განვითარების მნიშვნელობის გააზრება, გარემოს დაცვასა და მის აღდგენასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. მოსწავლეები ჩართულები არიან საინტერესო აქტივობებში, რომლებიც ხელს უწყობს ეკოლოგიური აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2.პედაგოგები ითვალისწინებენ, რომ მოსწავლე უკეთ ითვისებს მასალას, რომელზეც უკვე აქვს გარკვეული წარმოდგენა. ცოდნა იგება მარტივიდან რთულისაკენ, მოსწავლე თავად მართავს საკუთარი ცოდნის აგების პროცესს. კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ მის ფარგლებში მოსწავლე აგებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ცოდნას. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოვებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) სასწავლო პროცესში აქცენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კეთდება სწავლის სწავლაზე. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებს, შედეგებსა და კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც თავის მხრივ განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ, კომპლექსური დავალებებში ჩაშენებული საკვანძო შეკითხვა, მეტაკოგნიტური კითხვები და მასწავლებლის რჩევები სწავლის სწავლების სტრატეგიის დაუფლებისკენ არის მიმართული. სწავლა-სწავლების პროცესში სკოლაში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე , რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების, ორგანიზებულობის და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. კათედრის მიერ დაგეგმილი კურიკულუმი ითვალისწინებს ცოდნის სამივე კატეგორიას. სკოლას საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში შუალედურ სასწავლო მიზნად განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება,სასწავლო გეგმაში უწერია კომპლექსური დავალებებით სწავლა -სწავლება და დავალებების პირობის სრულყოფა ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, გარდა ამისა, სკოლაში საშუალო საფეხურზე ახორციელებენ პროექტებს,რომლებიც ორიენტირებულია როგორც ფაქტობრივ,ასევე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე, მოწოდებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებშიც გათვალისწინებულია ცოდნის სამივე კატეგორია.კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა.კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში, რომელიც ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული).

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5.კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცოდნის ტრანსფერს. წინარე გამოცდილების მიხედვით, მოსწავლეები მუშაობდნენ სხვადასხვა პროექტსა და დავალებაზე, როგორც ცნობილია, კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ მოსწავლემ მიიღოს არა მარტო დეკლარატიული ცოდნა, არამედ შეეძლოს ცოდნის ორგანიზება, ახალ რეალობაში გადატანა და გამოყენება. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში არის განხორციელებული ინტეგრირებული პროექტები, რაც გვაფიქრებინებს სკოლის მზაობას,სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეების ცოდნათა ორგანიზება და ურიერთდაკავშირება. მასწავლებლებთან ინტერვიუმაც ცხადყო, რომ ისინი ხელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უწყობენ მოსწავლეებს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებაში, ეხმარებიან მათ ცოდნათა ურთიერთდაკავშირება- ორგანიზებაში და სხვადასხვა (საკლასო თუ სასკოლო) აქტივობით აძლევენ თავიანთი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების შესაძლებლობას.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი (ქართული ენისა და ლიტერატურის)კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები; მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- კათედრის მასწავლებლების ინტერვიუ ;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- საშუალო საფეხურის ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის კურიკულუმები;
- კლუბების დებულება.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში (მე-11კლასის ჩარჩოს გარდა სახელმწიფო ენა) სრულად გაწერილია თემები და ნაწილობრივ კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან ორიენტირებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამიზნე ცნებებს, ინტერვიუირებისას მასწავლებლებმა განაცხადეს ,რომ ახალ სასწავლო წლამდე შეავსებენ. ასევე აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კომპლექსური დავალების პირობის გააზრებით ,საკვანძო შეკითხვების პროვოცირებაზე ორიენტირებული აქტივობებითა და მიღებული პროდუქტის შექმნის პროცესის გასიტყვებით, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით ,ერთეულ შემთხვევაში იკვეთება მცირეოდენი გამოწვევები, რაც საერთო სურათის აღქმას ხელს არ უშლის. მაგ. გეოგრაფიის კურიკულუმში არ არის ასახული სრულად საკითხთა თანმიმდევრობა, თუმცა წარმოდგენილი მაგალითების საფუძველზე მასწავლებლებს აქვთ კურიკულუმის შევსების მზაობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლაში სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებულია სწავლის სხვადასხვა მეთოდები: თეორიული თუ პრაქტიკული, კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართულია ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს მაგ. სპორტის სხვადასხვა სახეობის ისტორიებს, მათ შორის ქართული ტრადიციული სპორტის სახეობების ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მოსწავლეების მიერ შექმნილი პროექტები და ბუკლეტები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. მოსწავლეთა საჭიროებების საპასუხოდ დაგეგმილი ღონისძიებები, აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს, რომ მათ შეძლონ საკუთარი ემოციების, ძლიერი და სუსტი მხარეების ამოცნობა, საკუთარი ემოციებისა და ქცევების მართვა სასურველი მიზნების მისაღწევად. აღნიშნული აქცენტები უფრო ცხადი გახდა პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3.შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი საშუალებით მასწავლებელი სწავლა-სწავლებას წარმართავს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე/სასწავლო მიზნებზე ორიენტირებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. სასკოლო სასწავლო გეგმაშიც გაწერილია სასკოლო შეფასების პრინციპები, საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი კომპლექსური დავალებებიც მოსწავლის პროგრესის ხელშემწყობი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლამ შეარჩია შეფასების პირველი მოდელი. სამომავლოდ შეფასების სისტემას უფრო დახვეწენ, რუბრიკებს მოარგებენ კონკრეტული სასწავლო თემის საკითხებს/ქვესაკითხებს ,,კონტექსტ-მაგალითებს“ და შეავსებენ არსებულ ბაზას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. მასწავლებლებს აქვთ გააზრებული რომ განმავითარებელი რუბრიკა ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით - ჩანს ვალიდურობა. **გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი** - წარმოდგენილ/განსახორციელებელ კომპლექსური დავალებებში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, მასწავლებლებმა იციან კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები, რაც წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ მოსწავლეებისთვის ცნობილი იქნება თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. კომპლექსურის განხორციელების პირველ ეტაპზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეები გაიაზრებენ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. სათანადოდ გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომლის მზაობაც აქვთ მასწავლებლებს, წარმოადგენს **სანდოობას**. მასწავლებლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის, მათ იციან რაში ფასდებიან , თვითონაც მონაწილეობენ შეფასებაში. სახელმწიფო ენის კათედრა მზადაა, რომ შეიმუშაოს უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე -კათედრის შემაჯამებელი დავალებების ანალიზზე, თვითშეფასებაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურზე ვერიფიკაციის მექანიზმის ცალკეული ელემენტები გვხვდება. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, მასწავლებლები აანალიზებენ რა ფაქტორები განსაზღვრავდა წარმატებას, რა იყო წარუმატებლობის მიზეზი და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. სასურველია სკოლამ წარმოადგინოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, დოკუმენტის სახით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპი, პროცესის აღწერა და შედეგების ანალიზი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6.სკოლა თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავს, რომ დოკუმენტების შენახვისას ითვალისწინებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებსა და სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულ მითითებებს. სკოლა ინახავს: მოსწავლეთა პირად საქმეებს, ბრძანებებს; სამეურვეო და პედსაბჭოს სხდომის ოქმებს, კათედრის სხდომის ოქმებს, მოსწავლეთა შესრულებულ სხვადასხვა სახის დავალებებს, თვალსაჩინოებებს, მაკეტებს. სკოლაში აქვთ სპეციალური ოთახი, სადაც ინახება ბოლო 5 წლის განმავლობაში მოგროვებული დოკუმენტები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- შეფასების დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები ;
- თვითშეფასების კითხვარი;
- საზ.მეცნიერებების საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საშუალო საფეხურის კურიკულუმები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კათედრის წევრებთან ინტერვიუირებისას წარმოჩნდა, რომ სკოლაში არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას არა მხოლოდ ერთი კათედრის წევრები, არამედ სხვა კათედრების წარმომადგენლებიც. ამას ადასტურებს ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების ჩანაწერები, სკოლაში განხორციელებული არაფორმალური თუ ფორმალური განათლების აქტივობები, რომლებიც გამიზნულია მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული წინსვლისთვის. სკოლაში ტარდება სადამრიგებლო საათი, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობა არის პოზიტიური და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. მოსწავლეები ინფორმირებულები არიან სკოლაში მოქმედი არაფორმალური სასწავლო-საგანმანათლებლო აქტივობების, წრეების, კლუბების შესახებ. შემუშავებულია საგნობრივი კათედრების მუშაობის გეგმები. მოსწავლეებს აქვთ საშუალება ესგ-ით გათვალისწინებული არჩევითი საგნებიდან აირჩიონ სასურველი საგანი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი ხელს უწყობს პოზიტიური და თანამშრომლობითი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებას. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით აქტიურია კომუნიკაცია მშობლებთან, მათთან საუბარი ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. მაღალია სასკოლო საზოგადოებაში მიმღებლობის ხარისხი.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
2.საშუალო საფეხურზე დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და შეესაბამება თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ასევე, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მიდგომის მნიშვნელოვანი მახასიათებლები. სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმის შედგენისას პედაგოგებმა გაითვალისწინეს, თუ როგორ შეუწყონ ხელი მასალის სიღრმისეულ გააზრებას, როგორ მოახერხონ, რომ ყველა მოსწავლემ იგრძნოს თავი რეალიზებულად, როგორ დაეხმარონ მათ პიროვნული და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში. სასწავლო პროცესში საშუალო საფეხურზე გათვალისწინებული პროექტები, არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი ღონისძიებები უზრუნველყოფს მოსწავლეთა დაახლოებას, თანამშრომლობას და პოზიტიური დამოკიდებულების განმტკიცებას. სკოლაში შექმნილია უსაფრთხო გარემო, მოსწავლეს არ ეზღუდება აზრის გამოთქმის, ხმის, არჩევნის უფლებები. სამომავლოდაც იგეგმება ამ კუთხით აქტივობების დაგეგმვა- განხორციელება.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
3.სასკოლო საზოგადოების ძლიერ მხარედ პედაგოგები მოიაზრებენ თანამშრომლობითი კულტურის მაღალ დონეს და ეფექტურ, სისტემატურ კომუნიკაციას. პედაგოგები მუდმივად უზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას, იყენებენ „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტს. ერთად აკვირდებიან და აანალიზებენ გაკვეთილებს, სახავენ პრობლემის გადაჭრის გზებს. მომავალი წლისათვის ისევ დაიგეგმება მრავალფეროვანი აქტივობები.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი. წახალისებულია თანამშრომლობა და თანასწავლება. სკოლა გეგმავს და ახორციელებს საინტერესო სასკოლო პროექტებს. მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ მოსაზრებას, შეხედულებას, მონაწილეობენ პროექტების იდეების, ღონისძიებების შერჩევა-დაგეგმვაში, სადამრიგებლო საათის თემატიკის შერჩევაში. არ ეშინიათ შეცდომების დაშვებისა, ზრუნავენ ერთმანეთზე, პატივს სცემენ სხვების აზრს, შეუძლიათ კონფლიქტის მართვა. მანდატურის სამსახური და მრჩეველთა საბჭო ჩართულია აქტივობებში. სამომავლოდ შენარჩუნდება პოზიტიური კლიმატი, რაც გულისხმობს ძლიერ თანამშრომლობით კავშირებს. საგანმანათლებლო გარემო ორიენტირებულია თავისუფალი აზრის დაფიქსირებაზე, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სასკოლო საზოგადოებას სკოლისადმი მიკუთვნელობის განცდა ჰქონდეს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- საპროექტო და საკლუბო მუშაობის ანგარიშები ;
- სკოლის მიღწევების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- საზ,მეცნიერებების საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვრა, რომ ყოველწლიურად მოახდინოს სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მოსწავლეთა სწავლა-სწავლების, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების კვლევა-ანალიზი. ამ ეტაპზე სკოლაში არის შეფასების ჯგუფი, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება პროფესიულ განვითარებაში. რუბრიკაში წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების საფუძველზე ხორციელდება მასწავლებლების საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება. მასწავლებლების ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ კათედრა სამომავლოდ ,მეთოდოლოგიის შესაბამისად, განახორციელებს შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს დირექციასთან ინტენსიური თანამშრომლობით, შედეგებს ასახავენ შეფასების დოკუმენტში და გააანალიზებენ. შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლისთვის სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია ,როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით.სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებისას გამოიკვეთა ,რომ ისინი მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად , რათა განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის ანალიზი,რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, პრობლემების იდენტიფიცირებისა თუ გადაჭრის გზების მოსაძიებლად განხორციელებულმა აქტივობებმა უნდა განსაზღვროს სწავლის პროცესების მიმდინარეობა დაგეგმილი კურიკულუმების ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი) და შეაფასოს დაგეგმილი აქტივობების მიზნობრიობა სასურველ შედეგთან მიმართებით (შეფასება). ეს ცხადყოფს, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგსა და შეფასებას სასწავლო პროცესების კვლევა -ანალიზზე დაფუძნებით ,რათა დაადგინოს გამოწვევები და ადეკვატურად უპასუხოს მათ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმი;
- საბუნებისმეტყველო საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად სასწავლო პროცესის შეფასებაში ჩართული იქნება მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, კათედრა, დირექცია სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით - სადიაგნოსტიკო შეფასება, კითხვარი და სხვა. შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე წარიმართება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
2. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად, მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით მაგ. მოსწავლის ფსიქო - სოციალური მდგომარეობა, პროგრესი, რეგრესი, გარემო კლიმატი და თანატოლებთან ურთიერთობა. რის საშუალებასაც იძლევა დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და არაფორმალური აქტივობები. სკოლაში შეფასების რუბრიკები ფიზიკური აღზრდაში და სპორტში საჭიროებს შესაბამის განვითარებას და რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება შეფასება მრავალი კონტექსტის გამოყენებით, რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გამოიკვეთოს მოსწავლის მრავალმხრივი შეფასებისას მათი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინება, რის მზაობასაც გამოხატავს სკოლა.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3.წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით , შეფასების ანალიზის ამსახველი მასალებით, ჩანს, რომ სკოლაში შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლებმა ინტერვიუირების პროცესში აღნიშნეს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ იკვლევენ მოსწავლეთა ინტერესებს დაკვირვებით, გასაუბრებით ,თვითშეფასების განაცხადის მიხედვით, სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ მომავალ სასწავლო წელს გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და ა.შ. ეს მათ საშუალებას მისცემთ, მრავალმხრივ დაინახონ და შეაფასონ პრობლემა. ასევე დაგეგმილია წელიწადში ორჯერ ჩატარდეს სადიაგნოსტიკო შეფასება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიიდან იკვეთება , რომ შეფასება მიმდინარეობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასებისა და სამიზნე ცნებებთან მიმართებით, საბაზო საფეხურის ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლები მოსწავლეთა შეფასებისას ძირითადად იყენებენ განმავითარებელი შეფასებებს და სიტყვიერ კომენტარებს, შეფასებები ხდება საჭიროებებისა და მიღწევებში შესაბამისად. ინტერვიურების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებლები აპირებენ მოახდინონ მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. შეიმუშავონ მოსწავლის დიფერენცირებული პროფილი, მოახდინონ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირება და ა.შ **.**

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- საზ.მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმი ინტერვიუს შედეგები;
- საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“(1.2)წერია: „ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე“. მასწავლებელთა ინტერვიუირებისას წარმოჩნდა ,რომ საგნობრივი კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმის შემუშავების პროცესში. სავარაუდოდ, მომავალშიც, კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების ეტაპზე, ითანამშრომლებენ, გააანალიზებენ ინფორმაციას განხორციელებული აქტივობების შესახებ, გაცვლიან მონაცემებს და მათი შეჯერების საფუძველზე შექმნიან მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტს მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შესამუშავებლად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლის „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში“(1.3.1) წერია: „ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება.ჩანს სკოლის ხედვა ,როგორ ,რა მიმართულებით უნდა წარიმართოს რევიზია და როგორ უნდა იყოს ჩართული და გათვალისწინებული ამ პროცესში სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა მათი მზაობა სასკოლო კურიკულუმის რევიზირებასთან მიმართებით, მათ აღნიშნეს ,რომ წლევანდელი კურიკულუმი წინა წლის შედეგების გათვალისწინებით ააგეს და ასევე აპირებენ შემდეგშიც, მომავალი წლის რევიზირებულ კურიკულუმში ასახავენ მოსწავლეთა შედეგებს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებსა და მიგნებებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგები;
- საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 05.10.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: